

585  
1980/2



პროლეტარებო ყველა ქვეყნისა. პეიკთრით



საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის :

უმაღლესი საბჭოს

უწყებები

№ 3 (471)

1980 წლის მარტი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს გამომცემა

თბილისი



# საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის



# უმაღლესი საბჭოს უწყებები

59591

№ 3 (471)

მარტი

1980 წელი

## შინაარსი

### განყოფილება პირველი

62. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა „ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის შესახებ საქართველოს სსრ ზოგიერთ საკანონმდებლო აქტში ცვლილებათა შეტანის თაობაზე“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებაში დამატების შეტანის შესახებ.
63. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა „საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის ორგანოების შესახებ“ საქართველოს სსრ 1965 წლის 23 დეკემბრის კანონის ძალადაკარგულად ცნობის თაობაზე.
64. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სახალხო განათლების საკითხებზე საქართველოს სსრ ზოგიერთი საკანონმდებლო აქტის ძალადაკარგულად ცნობის შესახებ.
65. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სისხლის სამართლის, ადმინისტრაციული სამართლისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის საკითხებზე საქართველოს სსრ ზოგიერთი საკანონმდებლო აქტის ძალადაკარგულად ცნობის შესახებ.
66. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სასამართლოს, პროკურატურის, სამოქალაქო და სისხლის სამართალწარმოების საკითხებზე საქართველოს სსრ ზოგიერთი საკანონმდებლო აქტის ძალადაკარგულად ცნობის შესახებ.
67. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა შრომის, სოციალური დაზღვევისა და სოციალური უზრუნველყოფის საკითხებზე საქართველოს სსრ ზოგიერთი საკანონმდებლო აქტის ძალადაკარგულად ცნობის შესახებ.

საქართველოს სსრ საბჭოს  
საბელმწიფო უსსრს  
საბელმწიფო უსსრს



68. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული არასრულწლოვანთა საქმეების რესპუბლიკური კომისიის შემადგენლობაში ცვლილების შესახებ.
69. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ საქორწინო და საოჯახო კოდექსში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ.
70. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ვენერულ დაავადებათა გავრცელებასთან ბრძოლის გაძლიერების შესახებ.
71. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა აზ. მ. ა. მგერელიშვილის საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრის თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ.
72. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა აზ. კ. ს. ციმაკურიძის საქართველოს სსრ ფასების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ.
73. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების საარჩევნო დოკუმენტების შენახვის წესის შესახებ.
74. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ სახალხო დემუტატთა ადგილობრივი საბჭოების არჩევნების საარჩევნო დოკუმენტების შენახვის წესის შესახებ.
75. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა რეგლამენტის ძალადაკარგულად ცნობის შესახებ.
76. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ მეათე მოწვევის უმაღლესი საბჭოს პირველი სესიის სახელზე შემოსული წინადადებებისა და შეპნიშვნების, შშრომელთა განცხადებებისა და საჩივრების შესახებ.
77. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ მეათე მოწვევის უმაღლესი საბჭოს პირველ სესიაზე შემოტანილი წინადადებებისა და შეპნიშვნების შესახებ.
78. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ შრომის კანონთა კოდექსის 32-ე მუხლში ცვლილების შეტანის შესახებ.

საქართველოს სსრ მეათე მოწვევის უმაღლესი საბჭოს პირველი სესიის მიერ მიღებული კანონები და აღმზენილებები

79. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის არჩევის შესახებ.
80. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეების არჩევის შესახებ.
81. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სამანდატო კომისიის მოხსენების გამო.
82. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის არჩევის შესახებ.
83. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს რესპუბლიკაში დიდი სამამულო ომის მონაწილეების, ინვალიდებისა და ომში დაღუპულ მეომართა ოჯახებისათვის შეღავათების თაობაზე კანონმდებლობის შესრულების მდგომარეობის შესახებ.

84. საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტი.
85. კანონი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიების დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ.
- საპარლამენტო სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიების დებულება
86. კანონი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა საქართველოს სსრ მოქმედ საკანონმდებლო აქტებში ცვლილებების შეტანის შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცების თაობაზე.
87. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი საქართველოს სსრ შიფრების ზოგიერთი წევრის განთავისუფლებისა და დანიშნვის შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცების თაობაზე.
88. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიების შესახებ.
89. დადგენილება საქართველოს უმაღლესი საბჭოსი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სამანდატო კომისიის არჩევის შესახებ.
90. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს კანონმდებლობისა და სოციალისტური კანონიერების საკითხების კომისიის არჩევის შესახებ.
91. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საგეგმო-საბიუჯეტო კომისიის არჩევის შესახებ.
92. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საგარეო საქმეთა კომისიის არჩევის შესახებ.
93. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მრეწველობის კომისიის არჩევის შესახებ.
94. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის კომისიის არჩევის შესახებ.
95. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს შენებლობისა და საშენ მასალათა მრეწველობის კომისიის არჩევის შესახებ.
96. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სოფლის მეურნეობის კომისიის არჩევის შესახებ.
97. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის კომისიის არჩევის შესახებ.
98. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სახალხო მოხმარების საქონლისა და ვაჭრობის კომისიის არჩევის შესახებ.
99. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საყოფაცხოვრებო მომსახურებისა და კომუნალური მეურნეობის კომისიის არჩევის შესახებ.
100. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის კომისიის არჩევის შესახებ.
101. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სახალხო განათლებისა და კულტურის კომისიის არჩევის შესახებ.

102. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ქალთა შრომისა და ყოფა-ცხოვრების, დედისა და ბავშვის დაცვის საკითხების კომისიის არჩევის შესახებ.
103. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ახლგაზრდობის საქმეთა კომისიის არჩევის შესახებ.
104. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ბუნების დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალურად გამოყენების კომისიის არჩევის შესახებ.
105. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს შრომითი რესურსების რაციონალურად გამოყენების კომისიის არჩევის შესახებ.
106. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს განცხადების გამო.
107. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შექმნის შესახებ.
108. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის შექმნის შესახებ.
109. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს არჩევის შესახებ.

#### განყოფილება მეორე

110. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ.
111. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამირკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის სამხედრო მოსამსახურეებისა და მოსამსახურეებისათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ.
112. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა რესპუბლიკის მხატვართათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდებების მინიჭების შესახებ.
113. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ დამსახურებული იურისტის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.
114. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.
115. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა აზხ. დ. ა. ალიევასათვის საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.
116. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა აზხ. ო. გ. ონიანის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიველით დაჯილდოების შესახებ.
117. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა აზხ. გ. ე. ფაჩუაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიველით დაჯილდოების შესახებ.





### ბანუოფილება პირველი

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**62** „ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის შესახებ საქართველოს სსრ ზოგიერთ საკანონმდებლო აქტში ცვლილებათა შეტანის თაობაზე“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებაში დამატების შეტანის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

შეტანილ იქნეს შემდეგი დამატება „ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის შესახებ საქართველოს სსრ ზოგიერთ საკანონმდებლო აქტში ცვლილებათა შეტანის თაობაზე“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1979 წლის 20 მარტის ბრძანებულებაში (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1979 წ., № 3, მუხ. 44):

დაემატოს ბრძანებულებას ახალი მუხლი 2 შემდეგი შინაარსისა:

„2. შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები „ნარკოტიკულ ნივთიერებათა ხმარებისათვის პასუხისმგებლობის დაწესებისა და ასეთ ნივთიერებათა გატაცების, უკანონო დამზადებისა და გასაღების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1969 წლის 30 ივნისის ბრძანებულებაში (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1969 წ., № 6, მუხ. 122; 1974 წ., № 9, მუხ. 171.):

პირველი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დაწესდეს, რომ ნარკოტიკული ნივთიერების ხმარება ექიმის დანიშნულების გარეშე, ჩადენილი პირველად, გამოიწვევს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას ათიდან ორმოცდაათ მანეთამდე ჯარიმის სახით. ჯარიმას დაადებს სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის შინაგან საქმეთა განყოფილების (სამმართველოს) უფროსი ან მისი მოადგილე“.

ამ დამატებასთან დაკავშირებით ბრძანებულების მეორე და მესამე მუხლები ჩაითვალოს შესაბამისად მესამე და მეოთხე მუხლებად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ზილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 63 „საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის ორგანოების შესახებ“ საქართველოს სსრ 1965 წლის 23 დეკემბრის კანონის ძალადაკარგულად ცნობის თაობაზე

„სსრ კავშირში სახალხო კონტროლის შესახებ“ სსრ კავშირის კანონის სამოქმედოდ შემოღების წესის თაობაზე“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს 1979 წლის 30 ნოემბრის დადგენილების შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

ძალადაკარგულად იქნეს ცნობილი „საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკაში სახალხო კონტროლის ორგანოების შესახებ“ საქართველოს სსრ 1965 წლის 23 დეკემბრის კანონი (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1965 წ., № 30, მუხ. 637).

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1980 წლის 12 მარტი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 64 სახალხო განათლების საკითხებზე საქართველოს სსრ ზოგიერთი საკანონმდებლო აქტის ძალადაკარგულად ცნობის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

ძალადაკარგულად იქნეს ცნობილი საქართველოს სსრ ზოგიერთი საკანონმდებლო აქტი თანახმად დანართისა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1980 წლის 12 მარტი.

### დანართი

„სახალხო განათლების საკითხებზე საქართველოს სსრ ზოგიერთი საკანონმდებლო აქტის ძალადაკარგულად ცნობის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1980 წლის 12 მარტის ბრძანებულებისა

### ნუსხა

საქართველოს სსრ იმ საკანონმდებლო აქტებისა, რომლებმაც ძალა დაკარგეს

1. სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1930 წლის 4 თებერვლის დადგენილება „ფიზკულტურის დარგში მუშაობის გაძლიერების შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ., 1930 წ., № 19, მუხ. 290).

2. სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წლის 3 სექტემბრის დადგენილება „საპედაგოგო კადრების გამოყენების შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ., 1932 წ., № 22, მუხ. 213).

3. სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1932 წლის 23 ოქტომბრის დადგენილება „სტუდენტთა ქალაქის სამმართველოს დებულების დამტკიცების შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ., 1932 წ., № 24, მუხ. 251).

4. „ბავშვთა შორის სკოლისგარეშე კულტურულ-მასობრივი მუშაობის შესახებ“ სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და სახალხო კომისართა საბჭოს 1935 წლის 29 მარტის დადგენილების მე-13 და მე-15 მუხლები“ (საქ. სსრ კან. კრ., 1935 წ., № 14, მუხ. 80).

5. სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1937 წლის 5 თებერვლის დადგენილება „სკოლაში აღზრდის სრულიად საქართველოს კოოპერაციის დებულების დამტკიცების შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ., 1937 წ., № 6, მუხ. 37).



ბრძანებულმა საპარტიველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**65** სისხლის სამართლის, ადმინისტრაციული სამართლისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის საკითხებზე საპარტიველოს სსრ ზოგიერთი საკანონმდებლო აქტის ძალადაკარგულად ცნობის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

ძალადაკარგულად იქნეს ცნობილი საქართველოს სსრ ზოგიერთი საკანონმდებლო აქტი თანხმად დანართისა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშაბარაშვილი.

თბილისი. 1980 წლის 12 მარტი.

#### დანართი

„სისხლის სამართლის, ადმინისტრაციული სამართლისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის საკითხებზე საქართველოს სსრ ზოგიერთი საკანონმდებლო აქტის ძალადაკარგულად ცნობის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1980 წლის 12 მარტის ბრძანებულებისა

#### ნუსხა

საქართველოს სსრ იმ საკანონმდებლო აქტებისა, რომლებმაც ძალა დაკარგეს

1. სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წლის 6 აპრილის დადგენილება „სასოფლო საბჭოების პრეზიდიუმების მიერ სატყეო წესების დარღვევისა და განზრახი წინახედის საქმეთა განხილვის წესის შესახებ“ (საქართველოს სსრ კან. კრ., 1930 წ., № 10, მუხ. 114).

2. სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წლის 27 თქტომბრის დადგენილება „საქართველოს სსრ-ის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული საქართველოს სსრ-ის მუშათა და გლეხთა მილიციის მთავარი სამმართველოს დებულების დამტკიცების შესახებ“ (საქართველოს სსრ კან. კრ., 1931 წ., № 23, მუხ. 241).

3. სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წლის 5 მარტის დადგენილება „საქართველოს სსრ-ის შრომა-გასწორების დაწესებულებებში სამსახურის წესდების დამტკიცებისა და სამოქმედოდ შემოღების შესახებ“ (საქართველოს სსრ კან. კრ., 1932 წ., № 14, მუხ. 124).

4. სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წლის 22 აგვისტოს დადგენილება „საქართველოს სსრ-ის შრომა-გასწორების დაწესებულებებში სამსახურის წესდების 12 და 21 მუხლების შეცვლის შესახებ“ (საქართველოს სსრ კან. კრ., 1932 წ., № 21, მუხ. 204).

5. სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წლის 22 აგვისტოს დადგენილება „წყლის ტრანსპორტზე ტვირთის მტაცებლობის საქმეების ქვემდებარეობისა და ამ დანაშაულისათვის სასამართლო ჩეპრესიის ღონისძიებების შესახებ“ (საქართველოს სსრ კან. კრ., 1932 წ., № 21, მუხ. 206).

6. სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1933 წლის 22 თებერვლის დადგენილება „საქართველოს სსრ-ის შედგენილობაში შემავალი ავტონომიური რესპუბლიკების და ავტონომიური ოლქის მუშათა და გლეხთა მილიციის სამართველოების დებულების დამტკიცებისა და სამოქმედოდ შემოღების შესახებ“ (საქართველოს სსრ კან. კრ., 1933 წ., № 8, მუხ. 108).

7. სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1933 წლის 22 თებერვლის დადგენილება „საქართველოს სსრ-ში მუშათა და გლეხთა მილიციის სარაიონო და საქალაქო სამართველოების დებულების დამტკიცებისა და სამოქმედოდ შემოღების შესახებ“ (საქართველოს სსრ კან. კრ., 1933 წ., № 8, მუხ. 109).

8. სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1933 წლის 27 ივლისის დადგენილება „საქართველოს სსრ ტერიტორიაზე ერთიანი საბასპორტო სისტემის ჩატარების შესახებ“ (საქართველოს სსრ კან. კრ., 1933 წ., № 18, მუხ. 246).

9. სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1933 წლის 4 სექტემბრის დადგენილება „უმეთევალყოფი და ეული საქონლის შესახებ“ (საქართველოს სსრ კან. კრ., 1933 წ., № 24, მუხ. 295).

10. სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1933 წლის 14 ოქტომბრის დადგენილება „სამინდე გამოსაღების წესების დარღვევისათვის პასუხისმგებლობის თაობაზე“ გამოცემული დადგენილების მე-2 მუხლის შეცვლის შესახებ“ (საქართველოს სსრ კან. კრ., 1933 წ., № 25, მუხ. 326).

11. სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1934 წლის 1 თებერვლის დადგენილება „საქართველოს სსრ შრომა-გასწორების დაწესებულებებში სამსახურის წესდების მე-19 მუხლის 1-ლი ნაწილის შეცვლის შესახებ“ (საქართველოს სსრ კან. კრ., 1934 წ., № 5, მუხ. 64).

12. სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1935 წლის 20 თებერვლის დადგენილება „დაუდევრობის გამო პასპორტის დაკარგვისათვის პასუხისმგებლობის შესახებ“ (საქართველოს სსრ კან. კრ., 1935 წ., № 7, მუხ. 35).

13. სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1935 წლის 14 ივნისის დადგენილება „საქართველოს სსრ ზოგიერთ საქალაქო საბჭოსთან და ქალაქ ტფილისის სარაიონო საბჭოებთან ბავშვთა უპატრონობისა და უმეტველყურების წინააღმდეგ ბრძოლის სექციების დაარსების შესახებ“ (საქართველოს სსრ კან. კრ., 1935 წ., № 18, მუხ. 111).

14. სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1935 წლის 1 ივლისის დადგენილება „ბავშვთა თავაწყვეტილობისა და ქუჩაში ხულიგნობისათვის საადმინისტრაციო წესით მათი მშობლების პასუხისმგებლობის შესახებ“ (საქართველოს სსრ კან. კრ., 1935 წ., № 20, მუხ. 120).

15. 22-ე მუხლი სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1935 წლის 1 ივლისის დადგენილებისა „ბავშვთა უპატრონობისა და უმეტველყურების ლიკვიდაციის თაობაზე“ გამოცემული სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს და სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილების განხორციელების შესახებ“ (საქართველოს სსრ კან. კრ., 1935 წ., № 20, მუხ. 125).

16. სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1935 წლის 15 აგვისტოს დადგენილება „კოლმეურნეთაგან ნასამართლობის მოხსნის შესახებ“ (საქართველოს სსრ კან. კრ., 1935 წ., № 26, მუხ. 157).

17. სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1936 წლის 14 იანვრის დადგენილება „დაჭერილი სადგომებიდან მოქალაქეთა ადმინისტრაციული წესით გამოსახლების თაობაზე“ გამოცემული დეკრეტის მე-11 მუხლისათვის (სამოქალაქო სამართლის კოდექსის 172 მუხლის დანართი) „ვ“ პუნქტის დამატების შესახებ“ (საქართველოს სსრ კან. კრ., 1936 წ., № 3, მუხ. 23).

18. I განყოფილება სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1936 წლის 27 ივლისის დადგენილებისა „ფართო მოხმარების სამრეწველო საქონლის სპეკულაციასთან ბრძოლის შესახებ“ (საქართველოს სსრ კან. კრ., 1936 წ., № 20, მუხ. 118).

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 66 სსსამართლოს, პროკურატურის, სამოქალაქო და სისხლის სამართალწარმოების საკითხებზე საქართველოს სსრ ზოგიერთი საკანონმდებლო აქტის ძალადაკარგულად ცნობის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

ძალადაკარგულად იქნეს ცნობილი საქართველოს სსრ ზოგიერთი საკანონმდებლო აქტი თანახმად დანართისა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1980 წლის 12 მარტი.

### დანართი

„სასამართლოს, პროკურატურის, სამოქალაქო და სისხლის სამართალწარმოების საკითხებზე საქართველოს სსრ ზოგიერთი საკანონმდებლო აქტის ძალადაკარგულად ცნობის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1980 წლის 12 მარტის ბრძანებულებისა

### ნუსხა

საქართველოს სსრ იმ საკანონმდებლო აქტებისა, რომლებმაც ძალა დაკარგეს

1. სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1923 წლის 13 თებერვლის № 37 დადგენილება „სასამართლოს და პროკურატურის მომუშავეთა დატუსალების წესის შესახებ“ (საქართველოს სსრ კან. კრ., 1923 წ., № 1, მუხ. 14).

2. სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1924 წლის 18 ნოემბრის № 122 დადგენილება „სადისციპლინო სასამართლოს დებულების სამოქმედოდ შემოღების შესახებ“ (საქართველოს სსრ კან. კრ., 1924 წ., № 6, მუხ. 37).

3. სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1928 წლის 29 აგვისტოს დადგენილება „საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 1 მუხლის შენიშვნის დანართის მე-7 და სხვა მუხლების შეცვლისა და დამატების შესახებ“ (საქართველოს სსრ კან. კრ., 1928 წ., № 15, მუხ. 140).

4. სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წლის 21 თებერვლის დადგენილება „სა-



ქართველოს სსრ სახელმწიფო პროკურატურის დებულების დამტკიცების შესახებ“ (საქართველოს სსრ კან. კრ., 1930 წ., № 9, მუხ. 72).

5. სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წლის 27 ივნისის დადგენილება „სახელმწიფო პროკურატურის დებულების მე-16 მუხლის რედაქციის შეცვლის შესახებ“ (საქართველოს სსრ კან. კრ., 1930 წ., № 13, მუხ. 199).

6. სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წლის 21 ივლისის დადგენილება „თანამდებობის პირთა ხელქვეითობის წესით სადისციპლინო პასუხისმგებლობის დებულების დამტკიცების შესახებ“ (საქართველოს სსრ კან. კრ., 1930 წ., № 15, მუხ. 225).

7. სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წლის 21 ივლისის დადგენილება „შრომის საქმეთა პროკურატურის დებულების დამტკიცების შესახებ“ (საქართველოს სსრ კან. კრ., 1930 წ., № 15, მუხ. 228).

8. სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წლის 22 აგვისტოს დადგენილება „საქართველოს სსრ სახელმწიფო პროკურატურის დებულების დამატებისა და შეცვლის შესახებ“ (საქართველოს სსრ კან. კრ., 1930 წ., № 16, მუხ. 253).

9. სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წლის 19 აპრილის დადგენილება „შრომის საქმეთა პროკურატურის დებულების მე-8 მუხლის გაუქმების შესახებ“ (საქართველოს სსრ კან. კრ., 1931 წ., № 9-10, მუხ. 127).

10. სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წლის 19 აპრილის დადგენილება „სასოფლო საზოგადოებრივი სასამართლოების დებულების 1-ლი მუხლის მესამე ნაწილისა და მე-2 მუხლის „ა“ ლიტერის „ბ“ პუნქტის რედაქციის შეცვლის შესახებ“ (საქართველოს სსრ კან. კრ., 1931 წ., № 9-10, მუხ. 126).

11. სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წლის 13 მაისის დადგენილება „ახალ აღმინისტრაციულ-ტერიტორიალურ დარაიონებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ სახელმწიფო პროკურატურის დებულების შეცვლის შესახებ“ (საქართველოს სსრ კან. კრ., 1931 წ., № 12, მუხ. 148).

12. სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წლის 4 ივლისის დადგენილება „სასოფლო საზოგადოებრივი სასამართლოების დებულების შეცვლის შესახებ“ (საქართველოს სსრ კან. კრ., 1931 წ., № 14, მუხ. 165).

13. სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წლის 5 მარტის დადგენილება „საბინაო კორპორატიულ ამხანაგობებთან და სახელმწიფო და მუნიციპალურ სახლებში არსებული საამხანაგო სასამართლოების თაობაზე“ გამოცემული დადგენილების

შეცვლისა და დამატების შესახებ“ (საქართველოს სსრ კან. კრ., 1932 წ., № 5, მუხ. 51).

14. სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წლის 13 აპრილის დადგენილება „საქართველოს სსრ სახელმწიფო პროკურატურის დებულებისათვის მე-3 მუხლის მეორე ნაწილისა და მე-19 მუხლის დამატების შესახებ“ (საქართველოს სსრ კან. კრ., 1932 წ., № 11, მუხ. 86).

15. სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წლის 13 ივნისის დადგენილება „სასოფლო საზოგადოებრივი სასამართლოების ქვემდებარეობის ვაფართოებისა და ამ სასამართლოების დებულების შეცვლის შესახებ“ (საქართველოს სსრ კან. კრ., 1932 წ., № 17, მუხ. 142).

16. სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წლის 13 სექტემბრის დადგენილება „ალიმენტების გადახდის საქმეების სასოფლო საზოგადოებრივი სასამართლოების ქვემდებარეობიდან გამორიცხვისა და სასოფლო საზოგადოებრივი სასამართლოების დებულების მე-2 მუხლის „გ“ ლიტერის შეცვლის შესახებ“ (საქართველოს სსრ კან. კრ., 1932 წ., № 21, მუხ. 209).

17. პირველი პუნქტი სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1934 წლის 1 თებერვლის დადგენილებისა „პროკურატურის ორგანოების დამხმარე უჭრედების დებულების დამტკიცების შესახებ“ (საქართველოს სსრ კან. კრ., 1934 წ., № 6, მუხ. 66).

18. სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1937 წლის 26 ნოემბრის დადგენილება „სანოტარო ორგანოების რეორგანიზაციის შესახებ“ (საქართველოს სსრ კან. კრ., 1937 წ., № 19, მუხ. 142).

ბრძანებულება საჭარტიველრს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**67** შრომის, სოციალური დაზღვევისა და სოციალური უზრუნველყოფის საკითხებზე საჭარტიველრს სსრ ჯოგინართი საკანონმდებლო აქტის ძალადაპარგულად ცნობის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

ძალადაკარგულად იქნეს ცნობილი საქართველოს სსრ ჯოგინართი საკანონმდებლო აქტი თანახმად დანართისა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1980 წლის 12 მარტი.

### შანბრო

„შრომის, სოციალური დაზღვევისა და სოციალური უზრუნველყოფის საკითხებზე საქართველოს სსრ ზოგიერთი საკანონმდებლო აქტის ძალადაქარგულად ცნობის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1980 წლის 12 მარტის ბრძანებულებისა

### წესბ

საქართველოს სსრ იმ საკანონმდებლო აქტებისა, რომლებმაც ძალა დაკარგეს

1. სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1925 წლის 4 აპრილის № 16 დადგენილება „გლეხის ცენტრალური სახლის დებულების დამტკიცების შესახებ“ (საქართველოს სსრ კან. კრ., 1925 წ., № 2, მუხ. 28).
2. სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1925 წლის 1 ივნისის № 28 დადგენილება „ყველა სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტისათვის იმ მოვალეობის დაკისრების შესახებ, რომ გააცნონ მოსახლეობას ჯარში მორიგ გაწვევისათვის დაწესებული შეღავათები“ (საქართველოს სსრ კან. კრ., 1925 წ., № 2, მუხ. 40).
3. სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელ კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წლის 11 ნოემბრის დადგენილება „სასოფლო საბჭოების მოვალეობის შესახებ, რათა დახმარება გაუწიონ შრომის სახალხო კომისარიატის ორგანოებს გლეხთა არაორგანიზებულად საშოვარზე გასვლის თავიდან აცილებისათვის მათ მიერ მისაღებ ღონისძიებათა განხორციელებაში“ (საქართველოს სსრ კან. კრ., 1929 წ., № 23, მუხ. 282).
4. სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წლის 10 დეკემბრის დადგენილება „იმ საზოგადოებათა და კავშირთა დებულების დამტკიცებისა და სამოქმედოდ შემოღების შესახებ, რომელნიც მოგებას არ მისდევენ“ (საქართველოს სსრ კან. კრ., 1930 წ., № 24, მუხ. 339).
5. სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წლის 1 მარტის დადგენილება „იმ საზოგადოებათა და კავშირთა დებულების, რომელნიც მოგებას არ მისდევენ, 11, 12, 13, 26, 28 და 30 მუხლების და ამ დებულების შესავალი დადგენილების მე-4 მუხლის შეცვლის შესახებ“ (საქართველოს სსრ კან. კრ., 1931 წ., № 8, მუხ. 76).
6. სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წლის 13 მაისის დადგენილება „სტიქიურ უბედურებასთან ბრძოლისათვის შრომის ბეგარის დაწესების შესახებ“ (საქართველოს სსრ კან. კრ., 1932 წ., № 16, მუხ. 127).
7. სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის, სახალხო კომისართა საბჭოს და პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს 1933 წლის 1



ოქტომბრის დადგენილება „საქართველოს შრომის სახალხო კომისარიატის და საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს გაერთიანებისა და ამ გაერთიანების წესის შესახებ“ (საქართველოს სსრ კან. კრ., 1933 წ., № 25, მუხ. 332).

8. სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1935 წლის 29 მარტის დადგენილება „სტიქიურ უბედურებასთან საბრძოლველად შრომის ბეგარის დაწესების თაობაზე გამოცემული დადგენილების 18 მუხლისათვის „ე“ პუნქტისა და მეორე ნაწილის დამატების შესახებ“ (საქართველოს სსრ კან. კრ., 1935 წ., № 14, მუხ. 79).

დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**68** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული არასრულწლოვანთა საქმეების რესპუბლიკური კომისიის შემადგენლობაში ცვლილების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

დამტკიცდეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული არასრულწლოვანთა საქმეების რესპუბლიკური კომისიის წევრად დავით იოსების ძე ჩხიკვიშვილი — საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრი.

განთავსდეს ამ კომისიის წევრის მოვალეობისაგან გიორგი ნიკოლოზის ძე ჩიბლაძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თემგჯომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1980 წლის 12 მარტი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**69** საქართველოს სსრ სამორწინო და საოჯახო კოდექსში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

სსრ კავშირის კონსტიტუციის, საქართველოს სსრ კონსტიტუციის და „ქორწინებისა და ოჯახის თაობაზე სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობის საფუძვლებში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1979 წლის 9 ოქტომბრის ბრძანებულების შესაბამისად, აგრეთვე ქორწინებისა და ოჯახის შესახებ კანონ-

ქ. მარტის სსრ საქ. სსრ  
საბჭოს წევრი  
სამსახური

16565

მდებლობის შემდგომი სრულყოფის მიზნით შეტანილ იქნეს საქართველოს სსრ საქორწინო და საოჯახო კოდექსში (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1970 წ., № 6, მუხ. 96) შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

1. მე-3, მე-4, მე-5, მე-9, 41-ე, 161-ე, 162-ე, 167-ე და 185-ე მუხლები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი 3.** ქალისა და მამაკაცის თანასწორუფლებიანობა საოჯახო ურთიერთობაში

საქართველოს სს რესპუბლიკაში ქალისა და მამაკაცის უფლებათა თანასწორობის შესაბამისად, რაც განმტკიცებულია სსრ კავშირის კონსტიტუციითა და საქართველოს სსრ კონსტიტუციით, საოჯახო ურთიერთობაში მათ თანაბარი პირადი და ქონებრივი უფლებები აქვთ.

„**მუხლი 4.** მოქალაქეთა თანასწორუფლებიანობა საოჯახო ურთიერთობაში საოჯახო ურთიერთობაში ყველა მოქალაქეს თანაბარი უფლებები აქვს.

დაქორწინების დროს და საოჯახო ურთიერთობაში არ დაიშვება უფლებათა რაიმე პირდაპირი ან არაპირდაპირი შეზღუდვა, პირდაპირი ან არაპირდაპირი უპირატესობის მინიჭება წარმოშობის, სოციალური და ქონებრივი მდგომარეობის, რასობრივი და ეროვნული კუთვნილების, სქესის, განათლების, ენის, რელიგიისადმი დამოკიდებულების, საქმიანობის სახეობისა და ხასიათის, საცხოვრებელი ადგილისა და სხვა გარემოებათა მიხედვით.

„**მუხლი 5.** ოჯახის დაცვა სახელმწიფოს მიერ. დედობის დაცვა და წახალისება

სსრ კავშირის კონსტიტუციისა და საქართველოს სსრ კონსტიტუციის შესაბამისად საქართველოს სს რესპუბლიკაში ოჯახს სახელმწიფო იცავს.

სახელმწიფო ზრუნავს ოჯახისათვის — ქმნის და ავითარებს სამშობიარო სახლების, საბავშვო ბაგებისა და ბალების, სკოლა-ინტერნატებისა და სხვა საბავშვო დაწესებულებების ფართო ქსელს, აწყობს და სრულყოფს საყოფაცხოვრებო და საზოგადოებრივი კვების სამსახურს, გასცემს დახმარებას ბავშვის დაბადების გამო, აძლევს მარტოხელა დედებსა და მრავალშვილიან ოჯახებს დახმარებასა და შეღავათებს, აგრეთვე უწყევს ოჯახს სხვა დახმარებასა და შემწეობას.

საქართველოს სს რესპუბლიკაში დედობა გარემოცულია საყოველთაო-სახალხო პატივისცემითა და დაფასებით, მას იცავს და წახალისებს სახელმწიფო. დედისა და ბავშვის ინტერესების დაცვა უზრუნველყოფილია ქალის შრომისა და ჯანმრთელობის დაცვის სპეციალური ღონისძიებებით, ისეთი პირობების შექმნით, რომლებიც საშუალებას აძლევენ ქალებს შრომა შეუხამონ დედობას, დედისა და ბავშვის სამართლებრივი დაცვით, მატერიალური და მორალური მხარდაჭერით, მათ შორის ქალებისათვის ორსულობისა და მშობიარობის გამო ფასიანი შევებულების მიცემით და ორსული ქალებისა და დედებისათვის სხვა შეღავათების გაწევით“.

**„მუხლი 9.** სასარჩელო ხანდაზმულობა

სასარჩელო ხანდაზმულობა არ ვრცელდება მოთხოვნებზე, რომლებიც გამოძინარეობენ საქორწინო და საოჯახო ურთიერთობებიდან, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სსრ კავშირის კანონმდებლობით და ამ კოდექსით დადგენილია ვადა დარღვეული უფლების დასაცავად. ამ შემთხვევებში სასარჩელო ხანდაზმულობას სასამართლო გამოიყენებს სამოქალაქო კანონმდებლობის შესაბამისად, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი“.

**„მუხლი 41.** განქორწინების დროს მეუღლის მიერ გვარის შენარჩუნება ან ან შეცვლა

მეუღლეს, რომელმაც გვარი შეიცვალა დაქორწინების დროს, უფლება აქვს განქორწინების შემდეგაც ატაროს იგივე გვარი ან მისი მოთხოვნით მიეკუთვნება ქორწინებამდელი გვარი მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერი ორგანოების მიერ განქორწინების რეგისტრაციის დროს“.

**„მუხლი 161.** მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების რეგისტრაციის ორგანოები

მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების რეგისტრაცია ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებში ხდება სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერ განყოფილებებში, ხოლო სოფლის დასახლებულ პუნქტებში, დაბებში, იმ ქალაქებში, სადაც მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერი განყოფილება არ არის, — სახალხო დეპუტატთა სადაბო, სასოფლო და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებში.

**მუხლი 162.** მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერი ორგანოების კომპეტენცია

სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერი განყოფილებები ახდენენ დაბადების, დაქორწინების, განქორწინების, ვარდაცვალების, შვილად აყვანის, მამობის დადგენის, გვარის, სახელისა და მამის სახელის გამოცვლის რეგისტრაციას, ცვლილებები, შესწორებები, დამატებები შეაქვთ მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტებში, აუქმებენ მათ, აღადგენენ დაკარგულ სააქტო ჩანაწერებს, ინახავენ სააქტო წიგნებს და ვასცემენ განამტკიცების მოწმობებს.

სახალხო დეპუტატთა სადაბო, სასოფლო, აგრეთვე იმ ქალაქების საქალაქო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები, სადაც მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერი განყოფილება არ არის, ახდენენ დაბადების, დაქორწინების, მამობის დადგენისა და ვარდაცვალების რეგისტრაციას“.

**„მუხლი 167.** სახელმწიფო ბაი

მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერ ორგანოებში დაბადების, მამობის დადგენის, შვილად აყვანისა და ვარდაცვალების რეგისტრაცია, მამობის დადგენის, შვილად აყვანის შემთხვევებში, აგრეთვე მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების რეგისტრაციის დროს დაშვებული შეცდომების გამო დაბა-

ლების შესახებ აქტის ჩანაწერში ცვლილებების, დამატებებისა და შესწორებების შეტანის დროს მოწმობების გაცემა ხდება სსრ კავშირის კანონმდებლობის შესაბამისად სახელმწიფო ბაჟის გადაუხდევიანებად.

დაქორწინების, განქორწინების, გვარის, სახელისა და მამის სახელის გამოცვლის რეგისტრაციისათვის, აგრეთვე დაბადების, დაქორწინების, განქორწინების ან გარდაცვალების შესახებ აქტების ჩანაწერებში ცვლილებების, დამატებების, შესწორებების შეტანასა და ამ ჩანაწერების აღდგენასთან დაკავშირებით მოწმობებისა და მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების რეგისტრაციის შესახებ განმეორებითი მოწმობების გაცემისათვის სახელმწიფო ბაჟის გადახდევინება წარმოებს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ დადგენილი ოდენობით“.

**„მუხლი 185.** განქორწინების რეგისტრაციის დროს მეუღლისათვის ქორწინებამდელი გვარის მიკუთვნება

მეუღლემ, რომელსაც სურს ატაროს ქორწინებამდელი გვარი, ამის შესახებ უნდა განაცხადოს მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერ ორგანოში განქორწინების რეგისტრაციის დროს. მეუღლისათვის ქორწინებამდელი გვარის მიკუთვნების შესახებ მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერი ორგანოები აკეთებენ შესაბამის ჩანაწერს“.

2. 22-ე მუხლის მეოთხე ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„განქორწინებულ მეუღლეთა საერთო თანსაკუთრების გაყოფის თაობაზე მოთხოვნებისათვის დადგენილია სასარჩელო ხანდაზმულობის საშუალო ვადა“.

3. 52-ე მუხლის მეორე ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბავშვის დედად ან მამად ჩაწერილ პირს უფლება აქვს სადავოდ გახადოს ჩანაწერი ერთი წლის განმავლობაში იმ დროიდან, როდესაც მისთვის ცნობილი გახდა ან ცნობილი უნდა ყოფილიყო ჩანაწერი. თუ ამ დროისათვის დედად ან მამად ჩაწერილი პირი არასრულწლოვანი იყო, ერთწლიანი ვადა გამოითვლება მისი თერამეტი წლის ასაკს მიღწევის შემდეგ“.

4. 53-ე მუხლის მეორე ნაწილს სიტყვების „თუ დედა გარდაიცვალა“ და 190-ე მუხლის პირველ ნაწილს სიტყვების „დედის გარდაცვალების“ შემდეგ შესაბამისად დაემატოს სიტყვები „ცნობილია არაქმედუნარიანად, მას ჩამორთმეული აქვს მშობლის უფლება“ და „არაქმედუნარიანად ცნობის, მისთვის მშობლის უფლების ჩამორთმევის“.

5. 58-ე მუხლის მეორე ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მშობლები მოვალენი არიან აღზარდონ თავიანთი შვილები, იზრუნონ მათი ფიზიკური განვითარებისა და სწავლებისათვის, მოამზადონ საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომისათვის, აღზარდონ ისინი სოციალისტური საზოგადოების ღირსეულ წევრებად“.

6. მე-80 მუხლის სათაური და პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

**„მუხლი 80.** შვილების მოვალეობა მშობლების მიმართ

შვილები მოვალენი არიან იზრუნონ მშობლებისათვის და დაეხმარონ მათ.

სრულწლოვანი შვილები მოვალენი არიან არჩინონ შრომისუნარო მშობლები, რომლებსაც დახმარება სჭირდებათ“.



ამ მუხლის მეორე და მესამე ნაწილები ჩაითვალოს შესაბამისად მესამე და მეოთხე ნაწილებად.

7. 143-ე მუხლის სათაური და პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

**„მუხლი 143.** არასრულწლოვანის მეურვისა და მზრუნველის უფლებები და მოვალეობები

არასრულწლოვანის მეურვე და მზრუნველი მოვალეა აღზარდოს იგი, იზრუნოს მისი ფიზიკური განვითარებისა და სწავლებისათვის, მოამზადოს საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომისათვის, აღზარდოს ის სოციალისტური საზოგადოების ღირსეულ წევრად, დაიცვას მისი უფლებები და ინტერესები“.

8. 163-ე მუხლის პირველ ნაწილში სიტყვები „და აღდგენის“ შეიცვალოს სიტყვებით „აღდგენისა და გაუქმების“.

9. 187-ე მუხლის მეორე ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერი განყოფილება შეილად აყვანის რეგისტრაციას ახდენს სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილების საფუძველზე შეილად აყვანის შესახებ გადაწყვეტილების გამოტანის ადგილის მიხედვით“.

10. 188-ე მუხლის მეორე ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ნაშვილების გვარის, მამის სახელისა და დაბადების ადგილის შეცვლის შესახებ აღნიშნული უნდა იქნეს სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებაში შეილად აყვანის შესახებ“.

11. VI კარი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

### „პარი VI

ქორწინებისა და ოჯახის შესახებ საბჭოთა კანონმდებლობის გამოყენება უცხოელ მოქალაქეთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა მიმართ. ქორწინებისა და ოჯახის შესახებ უცხოეთის სახელმწიფოთა კანონებისა და საერთაშორისო ხელშეკრულებების გამოყენება

**მუხლი 194.** უცხოელ მოქალაქეთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა უფლებები და მოვალეობები საქორწინო და საოჯახო ურთიერთობაში

ქორწინებისა და ოჯახის შესახებ სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობის საფუძვლების შესაბამისად უცხოელი მოქალაქეები საქართველოს სს რესპუბლიკაში სარგებლობენ უფლებებით და მათ ეკისრებათ მოვალეობები საქორწინო და საოჯახო ურთიერთობაში საბჭოთა მოქალაქეების თანაბრად. ცალკეული გამონაკლისები შეიძლება დადგენილ იქნეს სსრ კავშირის კანონით.

საქართველოს სს რესპუბლიკაში მუდმივად მცხოვრები მოქალაქეობის არ-  
მქონე პირები სარგებლობენ უფლებებით და მათ ეკისრებათ მოვალეობები სა-  
ქორწინო და საოჯახო ურთიერთობაში საბჭოთა მოქალაქეების თანაბრად.

**მუხლი 195.** საბჭოთა მოქალაქეების დაქორწინება უცხოელ მოქალაქეებ-  
თან და უცხოელი მოქალაქეების დაქორწინება ერთმანეთთან  
საქართველოს სს რესპუბლიკაში

საბჭოთა მოქალაქეების დაქორწინება უცხოელ მოქალაქეებთან, აგრეთვე,  
უცხოელი მოქალაქეების დაქორწინება ერთმანეთთან საქართველოს სს რესპუ-  
ბლიკაში ხდება საბჭოთა კანონმდებლობით.

უცხოელ მოქალაქეთა შორის დაქორწინება, რომელიც ხდება სსრ კავშირ-  
ში უცხოეთის სახელმწიფოთა საელჩოებსა ან საკონსულოებში, საქართველოს  
სს რესპუბლიკაში ჩაითვლება ძალამოსილად ურთიერთთანხმობის პირობით,  
თუ ეს პირნი დაქორწინების მომენტში იმ სახელმწიფოს მოქალაქენი იყვნენ,  
რომელმაც ელჩი ან კონსული დანიშნა.

**მუხლი 196.** საბჭოთა მოქალაქეების დაქორწინება სსრ კავშირის საკონ-  
სულო დაწესებულებებში, სსრ კავშირის ფარგლებს გარეთ  
დაქორწინების ცნობა

ქორწინებისა და ოჯახის შესახებ სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლი-  
კების კანონმდებლობის საფუძვლების შესაბამისად სსრ კავშირის ფარგლებს გა-  
რეთ მცხოვრები საბჭოთა მოქალაქეები ქორწინდებიან სსრ კავშირის საკონ-  
სულო დაწესებულებებში.

იმ შემთხვევაში, როცა საბჭოთა მოქალაქეებს შორის დაქორწინება და საბ-  
ჭოთა მოქალაქეების უცხოელ მოქალაქეებთან დაქორწინება ხდება სსრ კავში-  
რის ფარგლებს გარეთ დაქორწინების იმ ფორმის დაცვით, რომელიც დაქორწი-  
ნების ადგილის კანონით არის დადგენილი, ეს დაქორწინება ჩაითვლება ძალა-  
მოსილად საქართველოს სს რესპუბლიკაში, თუ ძალამოსილად ჩათვლას ხელს არ  
უშლის ამ კოდექსის მე-14, მე-15, მე-18 და 42-ე მუხლებიდან გამომდინარე დაბ-  
რკოლებები.

სსრ კავშირის ფარგლებს გარეთ შესაბამის სახელმწიფოთა კანონების მიხე-  
დვით უცხოელ მოქალაქეთა დაქორწინება ჩაითვლება ძალამოსილად საქართვე-  
ლოს სს რესპუბლიკაში.

**მუხლი 197.** საბჭოთა მოქალაქეთა უცხოელ მოქალაქეებთან და უცხოელ  
მოქალაქეთა შორის განქორწინება საქართველოს სს რესპუბ-  
ლიკაში. სსრ კავშირის ფარგლებს გარეთ მომხდარ განქორწი-  
ნებათა ცნობა

საბჭოთა მოქალაქეთა უცხოელ მოქალაქეებთან, აგრეთვე უცხოელ მოქალა-  
ქეთა შორის განქორწინება საქართველოს სს რესპუბლიკაში ხდება საბჭოთა კა-  
ნონმდებლობით.

სსრ კავშირის ფარგლებს გარეთ შესაბამის სახელმწიფოთა კანონების მიხე-  
დვით საბჭოთა მოქალაქეებსა და უცხოელ მოქალაქეებს შორის განქორწინება  
ჩაითვლება ძალამოსილად საქართველოს სს რესპუბლიკაში, თუ განქორწინების  
მომენტში ორივე მუხლზე სსრ კავშირის ფარგლებს გარეთ ცხოვრობდა.

სსრ კავშირის ფარგლებს გარეთ შესაბამის სახელმწიფოთა კანონების მიხედვით საბჭოთა მოქალაქეების განქორწინება ჩაითვლება ძალამოსილად საქართველოს სს რესპუბლიკაში, თუ ორივე მეუღლე განქორწინების მომენტში სსრ კავშირის ფარგლებს გარეთ ცხოვრობდა.

სსრ კავშირის ფარგლებს გარეთ შესაბამის სახელმწიფოთა კანონების მიხედვით უცხოელ მოქალაქეთა განქორწინება ჩაითვლება ძალამოსილად საქართველოს სს რესპუბლიკაში.

ქორწინებისა და ოჯახის შესახებ სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობის საფუძვლების შესაბამისად სსრ კავშირის ფარგლებს გარეთ მცხოვრებ საბჭოთა მოქალაქეს უფლება აქვს განქორწინდეს სსრ კავშირის ფარგლებს გარეთ მცხოვრებ მეუღლესთან, მისი მოქალაქეობის მიუხედავად, საბჭოთა სასამართლოში. იმ შემთხვევაში, როდესაც საბჭოთა კანონმდებლობის მიხედვით განქორწინება დასაშვებია მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერ ორგანოებში, განქორწინება შეიძლება მოხდეს სსრ კავშირის საკონსულო დაწესებულებებში.

სსრ კავშირის ფარგლებს გარეთ მცხოვრები საბჭოთა მოქალაქეების განცხადებით განქორწინების საქმეს განიხილავენ საქართველოს სსრ სასამართლოები სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს დაეალებით.

**მუხლი 198.** მამობის დადგენა საქართველოს სს რესპუბლიკაში. სსრ კავშირის ფარგლებს გარეთ დადგენილი მამობის ცნობა

მამობის დადგენა საქართველოს სს რესპუბლიკაში მშობლებისა და ბავშვის მოქალაქეობის და მათი საცხოვრებელი ადგილის მიუხედავად ხდება საბჭოთა კანონმდებლობით.

ქორწინებისა და ოჯახის შესახებ სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობის საფუძვლების შესაბამისად იმ შემთხვევაში, როდესაც საბჭოთა კანონმდებლობით მამობის დადგენა დასაშვებია მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერ ორგანოებში, ბავშვის მშობლებს, რომლებიც სსრ კავშირის ფარგლებს გარეთ ცხოვრობენ და რომელთაგანაც ერთ-ერთი მაინც არის სსრ კავშირის მოქალაქე, უფლება აქვთ მამობის დადგენის შესახებ განცხადებით მიმართონ სსრ კავშირის საკონსულო დაწესებულებას.

**მუხლი 199.** სსრ კავშირის ფარგლებს გარეთ მცხოვრები საბჭოთა მოქალაქეობის მქონე ბავშვის შეილად აყვანა. საქართველოს სს რესპუბლიკაში უცხოელ მოქალაქეთა მიერ ბავშვის შეილად აყვანა და უცხოეთის მოქალაქეობის მქონე ბავშვის შეილად აყვანა

ქორწინებისა და ოჯახის შესახებ სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობის საფუძვლების შესაბამისად სსრ კავშირის ფარგლებს გარეთ მცხოვრები საბჭოთა მოქალაქეობის მქონე ბავშვის შეილად აყვანა ხდება სსრ კავშირის საკონსულო დაწესებულებაში.

თუ მშვილებელი არ არის საბჭოთა მოქალაქე, შეილად აყვანისათვის საჭიროა მიიღოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ნებართვა.



ძალამოსილად ითვლება აგრეთვე საქართველოს სსრ მოქალაქეობის მქონე ბავშვის შვილად აყვანა, როცა ეს ხდება იმ სახელმწიფოს ორგანოებში, რომლის ტერიტორიაზე ცხოვრობს ბავშვი, თუ წინასწარ მიღებულია შვილად აყვანის ნებართვა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსაგან.

საქართველოს სს რესპუბლიკაში უცხოელ მოქალაქეთა მიერ საბჭოთა მოქალაქეობის მქონე ბავშვის შვილად აყვანა და აგრეთვე საქართველოს სს რესპუბლიკაში მცხოვრები უცხოეთის მოქალაქეობის მქონე ბავშვის შვილად აყვანა ხდება საბჭოთა კანონმდებლობით.

საქართველოს სსრ ტერიტორიაზე უცხოელი მოქალაქეების მიერ საბჭოთა მოქალაქეობის მქონე ბავშვის შვილად აყვანა ხდება ამ კოდექსის მე-13 თავით დადგენილ საერთო საფუძველზე, იმ პირობით, თუ ყოველ ცალკეულ შემთხვევაში არსებობს შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს, აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის ნებართვა.

**მუხლი 200.** მეურვეობის (მზრუნველობის) დაწესება სსრ კავშირის ფარგლებს გარეთ მცხოვრებ საბჭოთა მოქალაქეებზე და უცხოელ მოქალაქეებზე საქართველოს სს რესპუბლიკაში. სსრ კავშირის ფარგლებს გარეთ დადგენილი მეურვეობის (მზრუნველობის) ცნობა

ქორწინებისა და ოჯახის შესახებ სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობის საფუძველების შესაბამისად სსრ კავშირის ფარგლებს გარეთ მცხოვრებ არასრულწლოვან და არაქმედუნარიან საბჭოთა მოქალაქეებზე, აგრეთვე საქართველოს სს რესპუბლიკაში მცხოვრებ უცხოელ მოქალაქეებზე მეურვეობის (მზრუნველობის) დაწესება ხდება საბჭოთა კანონმდებლობით.

სსრ კავშირის ფარგლებს გარეთ მცხოვრებ საბჭოთა მოქალაქეებზე შესაბამისი სახელმწიფოს კანონით დაწესებული მეურვეობა (მზრუნველობა) ძალამოსილად ითვლება საქართველოს სს რესპუბლიკაში, თუ მეურვეობის (მზრუნველობის) დაწესების ან მისი ცნობის საწინააღმდეგო არაფერი აქვს სსრ კავშირის საკონსულო დაწესებულებას.

სსრ კავშირის ფარგლებს გარეთ უცხოელ მოქალაქეებზე შესაბამისი სახელმწიფოს კანონით დაწესებული მეურვეობა (მზრუნველობა) ძალამოსილად ითვლება საქართველოს სს რესპუბლიკაში.

**მუხლი 201.** სსრ კავშირის ფარგლებს გარეთ მცხოვრები საბჭოთა მოქალაქეების მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების რეგისტრაცია

ქორწინებისა და ოჯახის შესახებ სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობის საფუძველების შესაბამისად სსრ კავშირის ფარგლებს გარეთ მცხოვრები საბჭოთა მოქალაქეების მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების რეგისტრაცია ხდება სსრ კავშირის საკონსულო დაწესებულებებში.

სსრ კავშირის საკონსულო დაწესებულებაში მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების რეგისტრაციის დროს გამოიყენება სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობა, თუ დაინტერესებული პირნი საქართველოს სსრ მოქალაქენი არიან. თუ დაინტერესებული პირნი სხვადასხვა მოკავშირე რესპუბლიკების მოქალაქენი არიან, ან დაუდგენელია, თუ რომელი რესპუბლიკის მოქალაქენი არიან ისინი, მაშინ მათი შეთანხმებით გამოიყენება ერთ-ერთი მოკავშირე რესპუბლიკის კანონმდებლობა, ხოლო უთანხმოების შემთხვევაში — საკითხს წყვეტს ის კონსული, რომელიც რეგისტრაციაში ატარებს მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტს.

**მუხლი 202.** მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების დასადასტურებლად უცხოეთის სახელმწიფო ორგანოების მიერ გაცემული დოკუმენტების ცნობა.

სსრ კავშირის მოქალაქეთა უცხოელ მოქალაქეთა და მოქალაქეობის არმქონე პირთათვის სსრ კავშირის ფარგლებს გარეთ შესაბამის სახელმწიფოთა კანონებით უცხოეთის სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანოების მიერ მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების დასადასტურებლად გაცემული დოკუმენტები ძალამოსილად ითვლება საქართველოს სს რესპუბლიკაში, თუ არსებობს საკონსულო ლეგალიზაცია.

**მუხლი 203.** უცხოეთის კანონებისა და საერთაშორისო ხელშეკრულებების გამოყენება

ქორწინებისა და ოჯახის შესახებ უცხოეთის კანონების გამოყენება ან ამ კანონებზე დაფუძნებული მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ცნობა არ შეიძლება, თუ ასეთი გამოყენება ან ცნობა ეწინააღმდეგება საბჭოთა წყობილების საფუძვლებს.

ქორწინებისა და ოჯახის შესახებ სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობის საფუძვლების შესაბამისად, თუ სსრ კავშირის საერთაშორისო ხელშეკრულებით დადგენილია სხვა წესები, რომლებიც განსხვავდება ქორწინებისა და ოჯახის შესახებ საბჭოთა კანონმდებლობით გათვალისწინებულ წესებისაგან, მაშინ გამოიყენება საერთაშორისო ხელშეკრულების წესები.

ასეთივე წესი გამოიყენება ქორწინებისა და ოჯახის შესახებ საქართველოს სსრ კანონმდებლობის მიმართ, თუ საქართველოს სსრ საერთაშორისო ხელშეკრულებით დადგენილია სხვა წესები, რომლებიც განსხვავდება ქორწინებისა და ოჯახის შესახებ საქართველოს სსრ კანონმდებლობით დადგენილი წესებისაგან.

12. მე-15 მუხლში სიტყვები „მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების“, მე-16, 101-ე, 108-ე, 109-ე, 113-ე და 124-ე მუხლებში სიტყვები „მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს“ შეიცვალოს სიტყვებით „სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს“.

13. 32-ე, 38-ე, მე-40 და 192-ე მუხლებში სიტყვები „მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერ ბიუროში (განყოფილებაში)“ შეიცვა-

ლოს სიტყვებით „სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერ განყოფილებაში“.

14. 110-ე მუხლში სიტყვები „მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს“ და „მშრომელთა დეპუტატების“ შეიცვალოს სიტყვებით „სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს“ და „სახალხო დეპუტატთა“.

15. 111-ე, 112-ე, 133-ე და 159-ე მუხლებში სიტყვები „მშრომელთა დეპუტატების“ შეიცვალოს სიტყვებით „სახალხო დეპუტატთა“.

16. 132-ე და 134-ე მუხლებში სიტყვები „მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო), სადაბო და სასოფლო საბჭოს“ შეიცვალოს სიტყვებით „სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული, სადაბო ან სასოფლო საბჭოს“.

17. 181-ე, 182-ე, 183-ე და 184-ე მუხლებში სიტყვები „აქტების ჩამწერი ბიურო (განყოფილება)“ შეიცვალოს სიტყვებით „აქტების ჩამწერი განყოფილება“.

18. „საქართველოს სსრ საქორწინო და საოჯახო კოდექსის სამოქმედოდ შემოღების წესის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1970 წლის 20 აგვისტოს ბრძანებულებაში (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1970 წ., № 8, მუხ. 123) შეტანილ იქნეს შემდეგი დამატებანი:

— მე-9 მუხლს სიტყვების „მშობლების ერთობლივი განცხადების საფუძველზე“ შემდეგ დაემატოს სიტყვები „დედის გარდაცვალების, დედის არაქმდუნარიანად ცნობის, მისთვის მშობლის უფლების ჩამორთმევის შემთხვევაში და აგრეთვე მისი საცხოვრებელი ადგილის დადგენის შეუძლებლობისას მამობა შეიძლება დადგენილ იქნეს მამის განცხადების საფუძველზე“ და სიტყვების „მშობელთა ერთობლივი“ შემდეგ დაემატოს სიტყვები „ან ბავშვის მამის“.

— მე-12 მუხლს სიტყვების „რეგისტრაცია დედის“ შემდეგ დაემატოს სიტყვები „ბავშვის მეურვის (მზრუნველის), აგრეთვე სრულწლოვანების მიღწევის შემდეგ თვით ბავშვის“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ზილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ი. ლაშქარაშვილი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 70 ვენერულ დაავადებათა გავრცელებასთან ბრძოლის გამწვანების შინაარსი

ვენერულ დაავადებათა გავრცელებასთან ბრძოლის გამწვანების მიზნით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

1. ის პირნი, რომელთა მიმართაც საკმაო მონაცემებია იმის სავარაუდოდ, რომ დაავადებულნი არიან ვენერული სენით, იმ შემთხვევაში, თუ თავს არიდებენ ნებაყოფლობით შემოწმებას, ექვემდებარებიან იძულებით სამედიცინო შემოწმებას.

2. თუ პირნი, რომელთა სამედიცინო შემოწმების შემდეგ მიღებულია გადაწყვეტილება მათთვის პროფილაქტიკური მკურნალობის ჩატარების აუცილებლობის თაობაზე, თავს არიდებენ მკურნალობას, ექვემდებარებიან იძულებით პროფილაქტიკურ მკურნალობას.

3. ის პირნი, რომელთა მიმართაც სამკურნლო-პროფილაქტიკურმა დაწესებულებებმა მიიღეს გადაწყვეტილება იძულებითი სამედიცინო შემოწმებისა და იძულებითი პროფილაქტიკური მკურნალობის შესახებ, ვალდებული არიან გამოცხადდნენ სამკურნლო-პროფილაქტიკურ დაწესებულებებში ამ დაწესებულებათა წერილობითი გაფრთხილების თანახმად.

გამოუცხადებლობის შემთხვევაში აღნიშნულ პირებს სამკურნლო-პროფილაქტიკურ დაწესებულებებში მიიყვანენ ამ დაწესებულებათა მუშაკები, საჭიროების შემთხვევაში შინაგან საქმეთა ორგანოების დახმარებით.

4. ვენერული სენის მკურნალობისათვის თავის არიდება, ჯანმრთელობის დაცვის ორგანოების მიერ გაფრთხილების შემდეგაც, გამოიწვევს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას კანონით დადგენილი წესით.

5. ვენერული სენით დაავადებულთა მიერ დაავადების წყაროს დაფარვა, აგრეთვე იმ პირთა დაფარვა, რომლებიც მათთან ისეთ კონტაქტში იყვნენ, რაც ვენერული სენით დაავადების საშიშროებას ქმნის, გამოიწვევს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას ჯარიმის სახით 50 მანეთამდე.

მასალებს ამ მუხლის პირველი ნაწილით ვათვალისწინებული ადმინისტრაციული სასჯელის გამოყენების შესახებ განიხილავენ სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებთან არსებული ადმინისტრაციული კომისიები.

6. საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ საქართველოს სსრ ოუსტიციის სამინისტროსთან ერთად და საქართველოს სსრ პროკურატურასა და საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროსთან შეთანხმებით შეიმუშაონ და დაამტკიცონ ინსტრუქციები იძულებითი სამედიცინო შემოწმებისა და იძულებითი პროფილაქტიკური მკურნალობის გამოყენების წესის შესახებ და



მასალების მომზადებისა და ადმინისტრაციულ კომისიებში გადაგზავნის წესის შესახებ ვენერული სენით იმ დაავადებულთა მიმართ, რომლებმაც დაფარეს დაავადების წყარო, აგრეთვე, ის პირნი, რომელთანაც ისეთ კონტაქტში იყვნენ, რაც ვენერული სენით დაავადების საშიშროებას ქმნის.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1980 წლის 13 მარტი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 71 ამხ. მ. ა. მეგრელიშვილის საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრის თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს: განთავისუფლდეს ამხ. მამია ამბერკის ძე მეგრელიშვილი საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრის თანამდებობიდან სხვა სამუშაოზე გადასვლასთან დაკავშირებით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1980 წლის 26 მარტი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 72 ამხ. პ. ს. ციმაკურიძის საქართველოს სსრ ფასების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს: განთავისუფლდეს ამხ. კონდრატე სოკრატის ძე ციმაკურიძე საქართველოს სსრ ფასების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის თანამდებობიდან პენსიაზე გასვლასთან დაკავშირებით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1980 წლის 26 მარტი.

დადგინდება საპარტვილოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 73 საპარტვილოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების საარჩევნო ლოკუმენტების შენახვის წესის შესახებ

„საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ საქართველოს სსრ კანონის 59-ე მუხლის შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

1. დაწესდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების საარჩევნო ლოკუმენტების შენახვის შემდეგი წესი:

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიის სხდომათა ოქმები და სხვა დოკუმენტები, აგრეთვე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების საოლქო საარჩევნო კომისიების ოქმები საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატთა რეგისტრაციის შესახებ, დეპუტატობის კანდიდატთა განცხადებები იმის თაობაზე, რომ თანახმა არიან კენჭი იყარონ შესაბამის საარჩევნო ოლქებში და საოლქო საარჩევნო კომისიების ოქმები თითოეულ საარჩევნო ოლქში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების შედეგების შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მიერ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა უფლებამოსილების ცნობის შემდეგ 15 წლის განმავლობაში ინახება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში, ხოლო შემდეგ დადგენილი წესით შესანახად გადაეცემა საქართველოს სსრ ცენტრალურ სახელმწიფო არქივს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების საოლქო საარჩევნო კომისიების სხდომათა ოქმები და ამ კომისიების სხვა დოკუმენტები, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატთა რეგისტრაციის შესახებ ოქმების ასლების ჩათვლით, რომელთაც თან ერთვის საზოგადოებრივი ორგანიზაციების, შრომითი კოლექტივების, სამხედრო ნაწილებში სამხედრო მოსამსახურეთა კრებების ოქმები დეპუტატობის კანდიდატთა დასახელების თაობაზე და საოლქო საარჩევნო კომისიათა ოქმების ასლები საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების შედეგების შესახებ, რომელთაც თან ერთვის საუბნო საარჩევნო კომისიათა ოქმები საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნებში ხმის მიცემის შედეგების თაობაზე, 15 წლის განმავლობაში ინახება სახალხო დეპუტატთა საოლქო, რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებში, 10 წლის განმავლობაში — საოლქო საარჩევნო კომისიების შემადგენლობის დამამტკიცებელ სახალხო დეპუტატთა საოლქო, რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებში, ხოლო შემდეგ შესაბამისად გადაეცემა რესპუბლიკურ ან ადგილობრივ სახელმწიფო არქივებს.

საუბნო საარჩევნო კომისიების სხდომათა ოქმები და სხვა დოკუმენტები,

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნებში ხმის მიცემის შედეგების შესახებ ამ კომისიათა ოქმების ასლების ჩათვლით, 5 წლის განმავლობაში ინახებუ სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო (რაიონული დაქვემდებარების ქალაქების გარდა), ქალაქის რაიონული საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებში, ხოლო შემდეგ უნდა განადგურდეს დადგენილი წესით. სამხედრო ნაწილებში შექმნილი საუბნო საარჩევნო კომისიების აღნიშნული დოკუმენტები 5 წლის განმავლობაში ინახება სამხედრო ნაწილის საქმეებში, ხოლო შემდეგ უნდა განადგურდეს დადგენილი წესით.

საარჩევნო ბიულეტენები ინახება სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო (რაიონული დაქვემდებარების ქალაქების გარდა), ქალაქის რაიონული საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მიერ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა უფლებამოსილების ცნობამდე, რის შემდეგაც უნდა განადგურდეს. საუბნო საარჩევნო კომისიის მიერ გაუქმებული საარჩევნო ბიულეტენები არჩევნების შემდეგ მაშინვე უნდა განადგურდეს.

ამომრჩეველთა სიები სახალხო დეპუტატთა შესაბამისი საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებში ინახება ახალი არჩევნების ჩატარებამდე, რის შემდეგაც უნდა განადგურდეს.

სახოვადობრივი ორგანიზაციების, შრომითი კოლექტივების, სამხედრო მოსამსახურეთა საერთო კრებების ოქმები საარჩევნო კომისიების შემადგენლობის წარმომადგენელთა დასახელების შესახებ 5 წლის განმავლობაში ინახება საარჩევნო კომისიების შემადგენლობის დამამტკიცებელ ორგანოებში, ხოლო შემდეგ უნდა განადგურდეს.

2. ძალადაკარგულად ჩაითვალოს „საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების საარჩევნო კომისიათა დოკუმენტებისა და მასალების შენახვის წესის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1951 წლის 31 მარტის დადგენილება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.



დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 74 საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების არჩევნების საარჩევნო დოკუმენტების შესახებ

„საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების არჩევნების შესახებ“ საქართველოს სსრ კანონის 57-ე მუხლის შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

1. დაწესდეს საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების არჩევნების საარჩევნო დოკუმენტების შენახვის შემდეგი წესი:

სახალხო დეპუტატთა საოლქო, რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული, სადაბო და სასოფლო საბჭოების არჩევნების საოლქო, რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული, სადაბო და სასოფლო საარჩევნო კომისიების სხდომათა ოქმები და სხვა დოკუმენტები, აგრეთვე საოლქო საარჩევნო კომისიების ოქმები სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების დეპუტატობის კანდიდატთა რეგისტრაციის შესახებ, დეპუტატობის კანდიდატთა განცხადებები იმის თაობაზე, რომ თანახმა არიან კენჭი იყარონ შესაბამის საარჩევნო ოლქებში, საოლქო საარჩევნო კომისიების ოქმები თითოეულ საარჩევნო ოლქში შესაბამისი საბჭოს არჩევნების შედეგების შესახებ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების მიერ დეპუტატთა უფლებამოსილების ცნობის შემდეგ 3 წლის განმავლობაში ინახება კომისიების შემადგენლობის დამამტკიცებელ სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებში, ხოლო შემდეგ დადგენილი წესით შესანახად გადაეცემა ადგილობრივ სახელმწიფო არქივებს.

სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების არჩევნების საოლქო საარჩევნო კომისიების სხდომათა ოქმები, დეპუტატობის კანდიდატთა რეგისტრაციის შესახებ ამ კომისიათა ოქმების ასლების ჩათვლით, რომელთაც თან ერთვის საზოგადოებრივი ორგანიზაციების, შრომითი კოლექტივების, სამხედრო ნაწილებში სამხედრო მოსამსახურეთა საერთო კრებების ან საბჭოთა მეურნეობების, კოლმეურნეობების, საწარმოო ქვედანაყოფების, სოფლებისა და სოფლის სხვა დასახლებული პუნქტების მოქალაქეთა საერთო კრებების ოქმები დეპუტატობის კანდიდატთა დასახელების შესახებ და საოლქო საარჩევნო კომისიათა ოქმების ასლები არჩევნების შედეგების თაობაზე, რომელთაც თან ერთვის საუბნო საარჩევნო კომისიათა ოქმები სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების არჩევნებში ხმის მიცემის შედეგების შესახებ, 3 წლის განმავლობაში ინახება საოლქო საარჩევნო კომისიების შემადგენლობის დამამტკიცებელ სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებში, ხოლო შემდეგ უნდა განდგურდეს დადგენილი წესით.

საუბნო საარჩევნო კომისიების სხდომათა ოქმები და სხვა დოკუმენტები, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების არჩევნებში ხმის მიცემის შედეგების შესახებ ამ კომისიათა ოქმების ასლების ჩათვლით, ახალ არჩევნებამ-

დე ინახება სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო (რაიონული დაქვემდებარების ქალაქების გარდა), ქალაქის რაიონული საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებში, ხოლო შემდეგ უნდა განადგურდეს.

სამხედრო ნაწილებში საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების მასალები ახალ არჩევნებამდე ინახება სამხედრო ნაწილის საქმეებში, რის შემდეგაც საოლქო საარჩევნო კომისიების ოქმები დეპუტატობის კანდიდატთა რეგისტრაციის შესახებ და საარჩევნო კომისიების ოქმები არჩევნების შედეგების თაობაზე, ცეხელ სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებში, ხოლო დანარჩენი დოკუმენტები უნდა განადგურდეს.

საარჩევნო ბიულეტენები ინახება სახალხო დეპუტატთა რაიონულ, საქალაქო (რაიონული დაქვემდებარების ქალაქების გარდა), ქალაქის რაიონული საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებში სახალხო დეპუტატთა შესაბამისი საბჭოების მიერ დეპუტატთა უფლებამოსილების ცნობამდე, რის შემდეგაც უნდა განადგურდეს. საუბნო საარჩევნო კომისიის მიერ გაუქმებული საარჩევნო ბიულეტენები არჩევნების შემდეგ მაშინვე უნდა განადგურდეს.

ამომრჩეველთა სიები სახალხო დეპუტატთა შესაბამისი საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებში ინახება ახალი არჩევნების ჩატარებამდე, რის შემდეგაც უნდა განადგურდეს.

საზოგადოებრივი ორგანიზაციების, შრომითი კოლექტივების ოქმები საარჩევნო კომისიების შემადგენლობაში წარმომადგენელთა დასახელების შესახებ 3 წლის განმავლობაში ინახება საარჩევნო კომისიების შემადგენლობის დამატკიცებელ სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებში, ხოლო შემდეგ უნდა განადგურდეს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1980 წლის 26 მარტი.

ბრძანებულია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 75 საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სსლომათა რეგლამენტის ძალადაპარგულად ცნობის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მიერ 1980 წლის 28 მარტს „საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის“ დამტკიცებასთან დაკავშირებით ძალადაკარგულად იქნეს ცნობილი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მიერ

1975 წლის 28 ივნისს დამტკიცებული „საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სსდომათა რეგლამენტი“ (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1975 წ., № 6, მუხ. 137).

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1980 წლის 28 მარტი.

დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**76** საქართველოს სსრ მეათე მოწვევის უმაღლესი საბჭოს პირველი სესიის სახელზე შემოსული წინადადებებისა და შენიშვნების, მშრომელთა განცხადებებისა და საჩივრების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

საქართველოს სსრ მეათე მოწვევის უმაღლესი საბჭოს პირველი სესიის სახელზე შემოსული წინადადებები და შენიშვნები, აგრეთვე მშრომელთა განცხადებები და საჩივრები განსახილველად და სათანადო ზომების მისაღებად გადაეგზავნოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, შესაბამის სამინისტროებს, უწყებებს, სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებს და დაევალოს მათ განხილვის შედეგები აცნობონ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1980 წლის 28 მარტი.

დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 77 საქართველოს სსრ მათე მოწვევის უმაღლესი საბჭოს პირველ სესიაზე სესიაზე შემოტანილი წინადადებებისა და შენიშვნების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

საქართველოს სსრ მათე მოწვევის უმაღლესი საბჭოს პირველ სესიაზე დებუტატების მიერ შემოტანილი წინადადებები და შენიშვნები განსახილველად და სათანადო ზომების მისაღებად გადაეგზავნოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ შედეგების შესახებ აცნობოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1980 წლის 28 მარტი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 78 საქართველოს სსრ შრომის კანონთა კოდექსის №2-ე მუხლში ცვლილების შეტანის შესახებ

„სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების შრომის კანონმდებლობის საფუძვლების მე-16 მუხლში ცვლილების შეტანის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1980 წლის 7 იანვრის ბრძანებულების შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

შეტანილ იქნეს საქართველოს სსრ შრომის კანონთა კოდექსის (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1973 წ., № 6, მუხ. 118) 32-ე მუხლში შემდეგი ცვლილება:

პირველ ნაწილში სიტყვები „ორი კვირით“ შეიცვალოს სიტყვებით „ერთი თვით“, ხოლო მეორე და მესამე ნაწილებში სიტყვები „ორი კვირის“ შეიცვალოს სიტყვებით „ერთი თვის“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1980 წლის 31 მარტი.



**საქართველოს სსრ მიათე მოწვევის უმაღლესი საბჭოს პირველი სესი-  
ის მიერ მიღებული კანონები და დადგენილებები.**

**დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი**

**79** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის არჩევის  
შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო  
ადგენს:

არჩეულ იქნეს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღ-  
ლესი საბჭოს თავმჯდომარედ დეპუტატი ირაკლი ზესარიონის ძე აბაშიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1980 წლის 27 მარტი.

**დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი**

**80** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგი-  
ბილევების არჩევის შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო  
ადგენს:

არჩეულ იქნენ საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმა-  
ღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეებად დეპუტატები:

ნელი ვლადიმერის ასული გურგენიძე

ვალერიან გვადის ძე კვიციანი

ზურაბ ომერის ძე ვასაძე

თამარ შალვას ასული ქაბულოვა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1980 წლის 27 მარტი.

## დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი

### 81 საპანდატო კომისიის მოხსენების გამო

მოისმინა რა საპანდატო კომისიის მოხსენება, საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო საქართველოს სსრ კონსტიტუციის 105-ე მუხლის შესაბამისად ადგენს:

ცნობილ იქნეს 1980 წლის 24 მარტს ყველა საარჩევნო ოლქში არჩეული საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 440 დეპუტატის უფლებამოსილება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ზილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1980 წლის 27 მარტი.

## დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი

### 82 საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის არჩევის შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

არჩეულ იქნეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი შემდეგი შემადგენლობით:

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გილაშვილი პავლე გიორგის ძე — დეპუტატი გორის რაიონის მეგვრისხევის საარჩევნო ოლქისაგან.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილეები:

სირაძე ვიქტორია მოსეს ასული — დეპუტატი ქ. ქუთაისის მაიაკოვსკის საარჩევნო ოლქისაგან.

კობახია ვალერიან ოსმანის ძე — დეპუტატი გულრიფშის რაიონის გულრიფშის საარჩევნო ოლქისაგან.

დიასამიძე დავით ღურსუნის ძე — დეპუტატი ხელვაჩაურის რაიონის ხელვაჩაურის საარჩევნო ოლქისაგან.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი

**ლაშქარაშვილი** თამარ ვასილის ასული — დეპუტატი თელავის რაიონის წინანდლის საარჩევნო ოლქისაგან.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრები:

**აბზიანიძე** გივი სერგის ძე — დეპუტატი ქ. ქუთაისის რუსთაველის საარჩევნო ოლქისაგან.

**გაბუნია** გურამ დიმიტრის ძე — დეპუტატი ქ. თბილისის კლარა ცეტკინის საარჩევნო ოლქისაგან.

**ზურაბაშვილი** ავლიზ დავითის ძე — დეპუტატი სიღნაღის რაიონის სიღნაღის საქალაქო საარჩევნო ოლქისაგან.

**თოდუა** ივლიანე თეიმურაზის ძე — დეპუტატი ზუგდიდის რაიონის ცაიშის საარჩევნო ოლქისაგან.

**კვაჭაძე** ზინაიდა არსენის ასული — დეპუტატი გურჯაანის რაიონის გურჯაანის საქალაქო საარჩევნო ოლქისაგან.

**კოჩიანი** ვასილ აიკის ძე — დეპუტატი ბოგდანოვკის რაიონის ბოგდანოვკის საარჩევნო ოლქისაგან.

**მარდანოვი** ჰენრიხ ირაკლის ძე — დეპუტატი ზნაურის რაიონის ავნევის საარჩევნო ოლქისაგან.

**მეგრეიშვილი** მედეა არჩილის ასული — დეპუტატი საგარეჯოს რაიონის საგარეჯოს საარჩევნო ოლქისაგან.

**პატიაშვილი** ოთარ გიორგის ძე — დეპუტატი ქ. რუსთავის ვაჟა-ფშაველას საარჩევნო ოლქისაგან.

**სახაცვი** ანატოლი თევდორეს ძე—დეპუტატი ქ. თბილისის 300 არაგველის საარჩევნო ოლქისაგან.

**შარტავა** ეიული კალისტრატეს ძე — დეპუტატი ქ. წყალტუბოს წყალტუბოს სასოფლო საარჩევნო ოლქისაგან.

**შევარდნაძე** ედუარდ ამბროსის ძე — დეპუტატი ზუგდიდის რაიონის რუხის საარჩევნო ოლქისაგან.

**ჩიხლაძე** რომბიონ ნიკოლოზის ძე — დეპუტატი გორის რაიონის ტყვიავის საარჩევნო ოლქისაგან.

**ხაბეიშვილი** სოლიკო ვეტიხის ძე — დეპუტატი ახმეტის რაიონის ზემო ალვანის საარჩევნო ოლქისაგან.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი

**83 რესპუბლიკაში დიდი სამამულო ომის მონაწილეების, ინვალიდებისა და ომში დაღუპულ მეომართა ოჯახებისათვის შავლატაების თაობაზე კანონმდებლობის შესრულების მდგომარეობის შესახებ**

საქართველოს სსრ მეათე მოწვევის უმაღლესი საბჭოს პირველი სესია, რომელმაც მოისმინა და განიხილა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ამხ. ზ. ა. პატარიძის მოხსენება რესპუბლიკაში დიდი სამამულო ომის მონაწილეების, ინვალიდებისა და ომში დაღუპულ მეომართა ოჯახებისათვის შეღავათების თაობაზე კანონმდებლობის შესრულების მდგომარეობის შესახებ, აღნიშნავს, რომ მათი მატერიალურ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება სკკპ XXV ყრილობის მიერ შემუშავებული სოციალური პროგრამის შემადგენელი ნაწილია, რესპუბლიკაში ამ მიმართულებით პარტიის მიერ დასახული ამოცანების რეალიზაციისათვის, სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობის შესასრულებლად დიდი მუშაობა მიმდინარეობს.

დიდი სამამულო ომის მონაწილეები, ინვალიდები და ომში დაღუპულ მეომართა ოჯახები რეალურად სარგებლობენ კანონმდებლობით დაწესებული სხვადასხვა უპირატესობებით — საპენსიო უზრუნველყოფით, შეღავათიანი კომუნალური გადასახადებით, სესხით ინდივიდუალური ბინათმშენებლობისათვის, სამედიცინო მომსახურებით, უფასო სანატორიულ-საკურორტო საგზურებით და ა. შ.

შარშან სამამულო ომის ინვალიდებსა და ომში დაღუპულ მეომართა ოჯახებს პენსიების სახით ათობით მილიონი მანეთი მიეცათ. ერთდროული ფულადი დახმარების სახით ამავე პერიოდში გაიცა 170 ათასამდე მანეთი, უკანასკნელ 15 წელიწადში უფასოდ გაიცა 9 ათასამდე ერთეული სატრანსპორტო საშუალება, რომელთა საერთო ღირებულებამ 14,5 მილიონ მანეთს გადააჭარბა. მარტო 1979 წელს სამამულო ომის ინვალიდებს უფასოდ მიეცათ 5578 სანატორიულ-საკურორტო საგზური, ანუ 2900-ით მეტი, ვიდრე 1975 წელს.

გაუმჯობესდა სამამულო ომის ინვალიდების სამედიცინო მომსახურება. ქ. თბილისში აღდგენილია 120-საწოლიანი ჰოსპიტალი, ხოლო სამამულო ომის ინვალიდების სტაციონარული მკურნალობისათვის ქალაქებისა და რაიონების ცენტრალურ საავადმყოფოებში გამოყოფილია პალატები და საწოლები. ქალაქებში თბილისში, ბათუმში, სოხუმსა და ზუგდიდში გაიხსნა სპეციალური აფთიაქები, ხოლო რუსთავში, გორსა და თელავში ცენტრალურ აფთიაქებთან შეიქმნა სპეციალური განყოფილებები; უკეთ წარმოებს მათი საპროთეზო-ორთოპედიული ნაკეთობებით უზრუნველყოფა.

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ომის მონაწილეების, ინვალიდებისა და ომში დაღუპულ მეომართა ოჯახების საბინაო-კომუნალური პირობების გაუმჯობესებას.



ასევე დადებითი ძვრებია მიღწეული დიდი სამამულო ომის მონაწილეთა და ინვალიდთა სავაჭრო მომსახურებაში. მათთვის ქალაქებში თბილისში, ბათუმში, სოხუმში, ქუთაისსა და რუსთავეში გახსნილია სამრეწველო და სასურსათო საქონლის მაღაზიები, ხოლო თბილისში — ავტომობილების სათადარიგო ნაწილების სპეციალიზებული მაღაზია.

დიდი სამამულო ომის მონაწილეთა მატერიალურ-საყოფაცხოვრებო პირობების გასაუმჯობესებლად დამატებითი ღონისძიებების შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1980 წლის 21 თებერვლის დადგენილებით ამ კატეგორიის პირებს გაუდიდებთ პენსიები და მათზე დამატებით გავრცელდება მატერიალურ-საყოფაცხოვრებო შეღავათები.

აღნიშნული ღონისძიებების განხორციელებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს სახალხო დეპუტატთა ადგილობრივმა საბჭოებმა, რომლებიც პარტიული ორგანოების ხელმძღვანელობით, დეპუტატების, მუდმივი კომისიების, ფართო საზოგადოებრიობის აქტიური მონაწილეობით და ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობის სხვადასხვა ფორმების გამოყენებით ამ ბოლო წლებში უფრო მეტი ყურადღებით ეკიდებიან დიდი სამამულო ომის მონაწილეების, ინვალიდებისა და ომში დაღუპულ მეომართა ოჯახების სოციალური უზრუნველყოფის და მატერიალურ-საყოფაცხოვრებო მომსახურების საკითხების გადაწყვეტას.

ამასთან ერთად, დიდი სამამულო ომის მონაწილეების, ინვალიდებისა და ომში დაღუპულ მეომართა ოჯახების მატერიალურ-საყოფაცხოვრებო უზრუნველყოფის შესახებ კანონმდებლობის შესრულებაში კვლავ ბევრი გადაუჭრელი პრობლემა და სერიოზული ნაკლოვანებებია.

რესპუბლიკაში ჯერ კიდევ მთლიანად არ სრულდება კანონმდებლობის მოთხოვნა ომის ინვალიდებისათვის მუშაობის საჭირო პირობების შექმნის შესახებ, მათთვის ყველგან, სადაც ეს შესაძლებელია, არ ქმნიან სპეციალურ საამქროებს, განყოფილებებს, არ აწესებენ არასრულ სამუშაო დღეს; მეტწილ საწარმოებში არ იცავენ ინვალიდთა სამუშაოზე მიღებისათვის ორპროცენტიანი ჯავშნის გამოყოფის წესს; ნელი ტემპით მიმდინარეობს შინ მუშაობაში ინვალიდების დასაქმება.

ზოგიერთი რაიონული და საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი სათანადო ზომებს არ იღებს ომის ინვალიდებისა და ომში დაღუპულ მეომართა ოჯახების საბინაო პირობების გასაუმჯობესებლად, რის გამოც ამჟამად ბინის მიღების რიგშია სამამულო ომის 863 ინვალიდი და ომში დაღუპულ მეომართა 1344 ოჯახი.

მთელი რიგი საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების ხელმძღვანელთა გულგრილობისა და ზოგიერთი სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სუსტი კონტროლის შედეგად სამამულო ომის ინვალიდები და ომში დაღუპულ მეომართა ოჯახები არ სარგებლობენ კანონმდებლობით გათვალისწინებული ისეთი შეღავათებით, როგორცაა სასო-

ფლო-სამეურნეო და საშემოსავლო გადასახადებისაგან განთავისუფლება, ტრანსპორტით უფასოდ ან 50 პროცენტის ფასდაკლებით მგზავრობა, შემცირებული საბინაო-კომუნალური გადასახადები, ტელეფონის პირველ რიგში ან უპირატესი უფლებით დადგმა, ინდივიდუალური ბინათმშენებლობისათვის უპროცენტო სესხისა და საშენი მასალების პირველ რიგში გამოყოფა, სათბობის 50 პროცენტის ფასდაკლებით მიყიდვა და სხვ. რესპუბლიკის შესაბამისი სამინისტროები, სახელმწიფო კომიტეტები და უწყებები პერიოდულად არ ამოწმებენ სამამულო ომის მონაწილეების, ინვალიდებისა და ომში დაღუპულ მეომართა ოჯახებისათვის შეღავათების შესახებ კანონმდებლობის შესრულების მდგომარეობას მათი დაქვემდებარების საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა მიერ.

სახალხო დეპუტატთა ზოგიერთი ადგილობრივი საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი სათანადო ღონისძიებებს არ ახორციელებს სამამულო ომის ინვალიდებისა და ომში დაღუპულ მეომართა ოჯახების მატერიალურ-საყოფაცხოვრებო პირობების შესწავლისა და საჭიროების შემთხვევაში მათი გაუმჯობესებისათვის, არ აწესებს შეფობას ინვალიდებსა და ომში დაღუპულ მეომართა იმ ოჯახებზე, რომლებსაც ეს ესაჭიროებათ, არ ითხოვს შეფი ორგანიზაციებისაგან ანგარიშებს მათ მიერ გაწეული მუშაობის შესახებ, ამიტომ შეფობა ხშირად ფორმალურ ხასიათს ატარებს.

ჯერ კიდევ შეინიშნება ნაკლოვანებები სამამულო ომის ინვალიდთა საქართველო-პროფილაქტიკური დახმარების საქმეში. ცალკეულ რაიონებში სათანადო ყურადღება არ ექცევა ომის ინვალიდთა დისპანსერიზაციასა და მკურნალობას, დაბალია სამედიცინო შემოწმების ხარისხი. შემოწმებაში ყოველთვის არ მონაწილეობენ სათანადო დარგის ექიმი-სპეციალისტები, ნაკლოვანებები ომის ინვალიდთა მედიკამენტებით უზრუნველყოფის საქმეში.

კვლავაც ჯეროვანად არ არის გადაწყვეტილი საკითხი სამამულო ომის ინვალიდთა ხელთ სამართავი ავტომანქანებისა და მოტოციკლების შეკეთებისა და მათი სათანადო ნაწილებით მომარაგების შესახებ, არ მოქმედებენ ავტოტექნიკოსების სპეციალური მოძრაი სახელოსნოები, რის გამოც ხშირად დაუშვებლად ჭიანჭურდება ომის ინვალიდთა კუთვნილი სატრანსპორტო საშუალებების რემონტი.

სამამულო ომის ინვალიდებისა და მონაწილეთა საპენსიო უზრუნველყოფის საქმეში აღმოფხვრილი არ არის შეცდომები და უზუსტობანი; შეინიშნება კავშირგაბმულობის საწარმოების მიერ სამამულო ომის ინვალიდებისათვის პენსიების დაგვიანებით გაცემის შემთხვევები.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო, ხელმძღვანელობს რა სკკპ XXV ყრილობის მითითებებით, სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის დადგენილებებით, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენებებსა და გამოსვლებაში ნოცემული დებულებებითა და დასკვნებით, სამამულო ომის მონაწილეების,

ინვალიდებისა და ომში დაღუპულ მეომართა ოჯახების მატერიალურ-საყოფაცხოვრებო უზრუნველყოფის შესახებ კანონმდებლობის განუხრელად განხორციელების საქმეში არსებული ნაკლოვანებებისა და ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით ადგენს:

1. აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმებმა, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სახალხო დეპუტატთა საოლქო, რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელმა კომიტეტებმა, სამინისტროებმა, სახელმწიფო კომიტეტებმა და უწყებებმა:

— შეიმუშაონ და განახორციელონ კონკრეტული ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ სამამულო ომის მონაწილეების, ინვალიდებისა და ომში დაღუპულ მეომართა ოჯახების მატერიალურ-საყოფაცხოვრებო პირობების შემდგომ გაუმჯობესებას;

— სისტემატურად შეისწავლონ ომის მონაწილეების, ინვალიდებისა და ომში დაღუპულ მეომართა ოჯახების მატერიალურ-საყოფაცხოვრებო უზრუნველყოფის შესახებ კანონმდებლობის განხორციელების მდგომარეობა, გაააქტიურონ ამ მიმართულებით მუდმივი კომისიებისა და დეპუტატების საქმიანობა; გააძლიერონ საშეფო დახმარება ომის ინვალიდებისა და ომში დაღუპულ მეომართა ოჯახებისათვის;

— განახორციელონ გადამწყვეტი ღონისძიებანი ომის მონაწილეთა და ინვალიდთა შრომის პირობებისა და მატერიალურ-საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესებისათვის; ომის ინვალიდთა შრომაში ფართოდ ჩაბმის მიზნით უზრუნველყონ, სადაც ეს შესაძლებელია, სპეციალური სამაქრობისა და განყოფილებების გახსნა, არასრული სამუშაო დღისა და არასრული სამუშაო კვირის, შინ მუშაობის დანერგვა;

— ომის მონაწილეების, ინვალიდებისა და ომში დაღუპულ მეომართა ოჯახების წევრთა კანონიერი მოთხოვნების დროული შესრულებისათვის, მათი წერილებისა და განცხადებების გულდასმით განხილვისათვის პერსონალური პასუხისმგებლობა დააკისრონ სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანოების, საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელებს;

— უზრუნველყონ სამამულო ომის მონაწილეების, ინვალიდებისა და ომში დაღუპულ მეომართა ოჯახების უპირატესი დაქაყოფილება საცხოვრებელი ფართობით და ხელი შეუწყონ მათ ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების მშენებლობაში.

2. საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრომ, საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტრომ, საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრომ და საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტრომ განახორციელონ დამატებითი ღონისძიებანი სამამულო ომის მონაწილეების, ინვალიდებისა და ომში დაღუპულ მეომართა ოჯახების მომსახურების გასაუმჯობესებლად.

3. საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრომ და ცეკავშირის გამგეობამ:

— უზრუნველყონ სამამულო ომის ინვალიდებისათვის 50 პროცენტის ფასდაკლებით სათბობის დროულად მიწოდება;

— შეუფერხებლად გამოუყონ სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს საშენი მასალები სამამულო ომის ინვალიდებისა და დაღუპულ მეომართა ოჯახებისათვის.

4. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტრომ, საქართველოს სსრ ხე-ტყისა და ხის დამამუშავებელი მრეწველობის სამინისტრომ, საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტრომ, სხვა სამინისტროებმა, სახელმწიფო კომიტეტებმა და უწყებებმა სათანადო დახმარება გაუწიონ სოფლად მცხოვრებ სამამულო ომის მონაწილეებს, ინვალიდებსა და ომში დაღუპულ მეომართა ოჯახებს საკარმიდამო მიწის ნაკვეთების მოვლა-დამუშავებასა და პირუტყვისათვის საკვების გამოყოფაში, საცხოვრებელი სახლებისა და ბინების შეკეთებაში.

5. საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ გადაჭრით გააუმჯობესოს სამამულო ომის მონაწილეებისა და ინვალიდების სამედიცინო მომსახურება, მედიკამენტებითა და საპროთეზო-ორთოპედიული ნაკეთობებით მათი უზრუნველყოფა და დისპანსერული მეთვალყურეობა.

6. საქართველოს რესპუბლიკურმა სპეციალიზებულმა სამმართველომ „ავტოტექნიკის სახურება“ უზრუნველყოს სამამულო ომის ინვალიდების ხელით სამართავი ავტომანქანებისა და მოტოტელეების შეკეთებისა და მათი სათანადო რემონტი ნაწილებით მომარაგების ორგანიზაციის ძირეული გაუმჯობესება.

7. საქართველოს პროფსაბჭომ განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს ომის მონაწილეებისა და ინვალიდების შრომის პირობების დაცვას, იზრუნოს მათი სოციალურ-კულტურული და საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესებისა და სანატორიულ-საკურორტო საგურებით მაქსიმალურად დაკმაყოფილებისათვის.

8. საქართველოს ალკ ცენტრალურმა კომიტეტმა ვააძლიეროს ახალგაზრდობის, მოსწავლეებისა და სტუდენტების სამხედრო-პატრიოტული აღზრდა უფროსი თაობის საბრძოლო გმირობის მაგალითებზე, ფართოდ გაშალოს ორგანიზატორული მუშაობა საბრძოლო დიდების მუზეუმებისა და კაბინეტების საქმიანობის სრულყოფისათვის და ომში დაღუპულ მეომართა მემორიალების მოვლა-პატრონობის საქმეში ახალგაზრდობის აქტიური მონაწილეობის უზრუნველსაყოფად.

9. საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრომ, საქართველოს სსრ კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტმა, რესპუბლიკის შემოქმედებითა კავშირებმა ხელი შეუწყონ სამამულო ომისა და პატრიოტული აღზრდის თემზე ახალი ნაწარმოებების შექმნას, რომლებშიც ასახული იქნება მრავალეროვანი საბჭოთა ხალხის უმაგალითო გმირობა, საქართველოს მშრომელების თავდადებული ბრძოლა სოციალისტური სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის.



10. საქართველოს სსრ ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტმა, რესპუბლიკური, საოლქო, საქალაქო და რაიონული გაზეთების რედაქციებმა სისტემატურად მოაწიონ გადაცემები და გამოაქვეყნონ მასალები სამამულო ომის მონაწილეების, ინვალიდებისა და ომში დაღუპულ მეომართა ოჯახების მატერიალურ-საყოფაცხოვრებო უზრუნველყოფის შესახებ კანონმდებლობის შესრულების საკითხებზე.

11. საქართველოს სსრ პროკურატურამ გააძლიეროს ზედამხედველობა სამამულო ომის მონაწილეების, ინვალიდებისა და ომში დაღუპულ მეომართა ოჯახებისათვის შეღავათების შესახებ კანონმდებლობის განუხრებლად შესრულებაზე.

12. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ სისტემატურად განიხილოს სამამულო ომის მონაწილეების, ინვალიდებისა და ომში დაღუპულ მეომართა ოჯახებისათვის შეღავათების თაობაზე კანონმდებლობის შესრულების საკითხები, პერიოდულად მოისმინოს რესპუბლიკის სამინისტროების, სახელმწიფო კომიტეტებისა და უწყებების, სახალხო დეპუტატთა საოლქო, რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების ინფორმაციები.



საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო მტკიცე რწმენას გამოთქვამს, რომ რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოები და მათი აღმასრულებელი კომიტეტები, სახელმწიფო მმართველობის ორგანოები პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვების 35-ე წლისთავის აღსანიშნავად უზრუნველყოფენ სამამულო ომის მონაწილეების, ინვალიდებისა და ომში დაღუპულ მეომართა ოჯახების მატერიალურ-საყოფაცხოვრებო პირობების შემდგომი გაუმჯობესებისათვის დასახულ ამოცანათა უთუო შესრულებას.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. პილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. ლაშქანაშვილი.

## 84 საქართველოს საგვრთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღ- ლესი საგვრთ რეგლამენტი

### თ ა ვ ი

#### ზოგადი დებულებანი

**მუხლი 1.** საქართველოს სსრ კონსტიტუციის შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო არის საქართველოს სსრ სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანო. იგი უფლებამოსილია გადაწყვიტოს ყველა საკითხი, რომლებიც სსრ კავშირის კონსტიტუციითა და საქართველოს სსრ კონსტიტუციით საქართველოს სს რესპუბლიკის გამგებლობას განეკუთვნება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და მისი ორგანოების საქმიანობის წესს განსაზღვრავენ ეს რეგლამენტი და საქართველოს სსრ სხვა კანონები, რომლებიც საქართველოს სსრ კონსტიტუციის საფუძველზე გამოიცემა.

**მუხლი 2.** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საქმიანობა ემყარება საკითხების კოლექტიურ, თავისუფალ, საქმიან განხილვასა და გადაწყვეტას, საჯაროობას, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს წინაშე მის მიერ შექმნილი ორგანოების რეგულარულ ანგარიშგებას, სახელმწიფო და საზოგადოებრივი საქმეების მართვაში მოქალაქეთა ფართოდ ჩაბმას, საზოგადოებრივი აზრის მუდმივ გათვალისწინებას.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივ და ეფექტიან საქმიანობას უზრუნველყოფს მისი სესიების, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზდიუმის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს კომისიებისა და დეპუტატების მუშაობა.

**მუხლი 3.** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო თავის უფლებამოსილებას ახორციელებს მუშაობაში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თითოეული დეპუტატის აქტიური მონაწილეობის საფუძველზე. დეპუტატი თავისი უფლებამოსილების განხორციელებისას არ წყვეტს საწარმოო თუ სამსახურებრივ საქმიანობას.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატისათვის უზრუნველყოფილია სსრ კავშირის კონსტიტუციით, საქართველოს სსრ კონსტიტუციით, სსრ კავშირში სახალხო დეპუტატთა სტატუსის შესახებ სსრ კავშირის კანონით, სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ სხვა საკანონმდებლო აქტებით დაწესებულ მის უფლება-მოვალეობათა დაუბრკოლებელი და ეფექტიანი განხორციელების პირობები.

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს

### სესიები

**მუხლი 4.** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესიებს წელიწადში ორჯერ იწვევს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი.

რიგგარეშე სესიებს იწვევს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი თავისი ინიციატივით ან საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა სულ ცოტა მესამედის წინადადებით. წინადადებას რიგგარეშე სესიის მოწვევის შესახებ წარადგენენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში იმ საკითხების აღნიშვნით, რომლებიც განსახილველად შეაქვთ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს წინა შემადგენლობის პრეზიდიუმმა საქართველოს სსრ ახლად არჩეული უმაღლესი საბჭო უნდა მოიწვიოს არჩევებიდან არაუგვიანეს ორი თვისა.

**მუხლი 5.** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი დროულად აცნობებს დეპუტატებს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესიის მოწვევის დროსა და ჩატარების ადგილის, აგრეთვე მის განსახილველად შემოტანილი საკითხების შესახებ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესიის მოწვევის შეახებ, როგორც წესი, ქვეყნდება არა უგვიანეს ოცდაათი დღისა მის გახსნამდე.

ცნობა იმ საკითხების შესახებ, რომელთა შეტანა გათვალისწინებულია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს განსახილველად, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გადაწყვეტილებით შეიძლება გამოქვეყნდეს საყოველთაო გაცნობისათვის.

ცნობა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომების ჩატარების ადგილისა და დროის, აგრეთვე სესიაზე ჩამოსულ დეპუტატთა რეგისტრაციის ადგილისა და დროის შესახებ ქვეყნდება გაზეთებში „კომუნისტა“ და „ზარია ვოსტოკაში“, სხვა რესპუბლიკურ და საოლქო გაზეთებში, გადაიცემა ტელევიზიითა და რადიოთი. თუ სესიაზე ჩამოსვლა არ შეუძლია, დეპუტატი ამის შესახებ აცნობებს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს.

**მუხლი 6.** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესია შედგება მისი სხდომებისაგან, აგრეთვე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიების და სხვა კომისიების სხდომებისაგან, რომლებიც უმაღლესი საბჭოს სხდომებს შუა პერიოდში ეწყობა. სესია იხსნება და იხურება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომებზე.

**მუხლი 7.** სესიის დღის წესრიგის, მისი მუშაობის წესისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესიის ჩატარების ორგანიზაციასთან დაკავშირებული სხვა

საკითხების წინასწარი განხილვისათვის იწვევენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უხუცესთა საბჭოს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უხუცესთა საბჭო შედგება აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკური დაქვემდებარების რაიონებისა და ქალაქების ტერიტორიაზე შექმნილ საარჩევნო ოლქებში არჩეულ დეპუტატთა ჯგუფების წარმომადგენელთაგან: თითოეული ჯგუფისაგან, რომელიც 5-მდე დეპუტატს აერთიანებს, უხუცესთა საბჭოს შემადგენლობაში გამოყოფენ ერთ წარმომადგენელს, 5-ზე მეტი დეპუტატისაგან — ორ წარმომადგენელს, 15-ზე მეტი დეპუტატისაგან — სამ წარმომადგენელს და 20-ზე მეტი დეპუტატისაგან — ოთხ წარმომადგენელს. თუ რაიონის ტერიტორიაზე ერთი საარჩევნო ოლქია, ამ ოლქში არჩეული დეპუტატი უხუცესთა საბჭოს შემადგენლობაში შედის.

საქართველოს სსრ ახლად არჩეული უმაღლესი საბჭოს უხუცესთა საბჭოს პირველ სხდომას იწვევენ და ატარებს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, მომდევნო სხდომებს — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე.

**მუხლი 8.** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო ირჩევს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარესა და მის ოთხ მოადგილეს. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარესა და მის მოადგილეებს ირჩევენ საქართველოს სსრ ახლად არჩეული უმაღლესი საბჭოს პირველ სესიაზე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ხელმძღვანელობს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომებს და განაგებს მის შინაგანაწესს.

საქართველოს სსრ ახლად არჩეული უმაღლესი საბჭოს პირველ სესიაზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პირველ სხდომას უხუცესთა საბჭოს დავალებით ხსნის ერთ-ერთი უხუცესი დეპუტატთაგანი, რომელიც სხდომას უძღვება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის არჩევამდე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის დავალებით თავმჯდომარეობენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომებს, ხოლო თავმჯდომარის არყოფნის დროს მორიგეობით ასრულებენ მის ფუნქციებს.

**მუხლი 9.** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო მის მიერ არჩეული სამანდატო კომისიის წარდგენით იღებს გადაწყვეტილებას დეპუტატთა უფლებამოსილების ცნობის შესახებ, ხოლო არჩევნების კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევაში — ცალკეულ დეპუტატთა არჩევნების ბათილად ცნობის თაობაზე.

**მუხლი 10.** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომები ტარდება, თუ მათ ესწრება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა საერთო რიცხვის უმრავლესობა. თითოეული სხდომის წინ წარმოებს სხდომაზე მოსულ დეპუტატთა რეგისტრაცია.

**მუხლი 11.** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი გადამწყვეტი ხმის უფლებით სარგებლობს ყველა საკითხში, რომლებსაც განიხილავენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომებზე.



საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატს უფლება აქვს აირჩიოს და არჩეულ იქნეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ორგანოებში, მონაწილეობა მიიღოს კამათში, ზეპირი ან წერილობითი ფორმით შეიტანოს წინადადებები, შენიშვნები და შესწორებები სესიაზე განსახილველი საკითხების არსის თაობაზე, წინადადებები საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მიერ შესაქმნელი ორგანოების პერსონალური შემადგენლობისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მიერ ასარჩევ თუ დასანიშნ თანამდებობის პირთა კანდიდატურების გამო, შეკითხვის წესად დააყენოს საკითხი, შეკითხვით მიმართოს, მიაწოდოს ცნობები; აგრეთვე სარგებლობს სხვა უფლებებით სსრ კავშირის კონსტიტუციის, საქართველოს სსრ კონსტიტუციის, სსრ კავშირში სახალხო დეპუტატთა სტატუსის შესახებ სსრ კავშირის კანონის, ამ რეგლამენტის, სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ სხვა კანონების შესაბამისად.

**მუხლი 12.** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო, თუ იგი არ მიიღებს სხვა გადაწყვეტილებას, დღის განმავლობაში ატარებს ორ სხდომას: დღის — 10-დან 14 საათამდე და საღამოს — 16-დან 18 საათამდე.

**მუხლი 13.** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესიის დღის წესრიგსა და მუშაობის წესს განიხილავენ და ამტკიცებენ დეპუტატთა მიერ კენჭისყრით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პირველ სხდომაზე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატს უფლება აქვს შეიტანოს საკითხები სესიის განსახილველად, აგრეთვე წინადადებები სესიის დღის წესრიგისა და მუშაობის წესის თაობაზე.

**მუხლი 14.** დროს მოხსენებებისათვის, თანამოხსენებებისა და საბოლოო სიტყვისათვის აწესებს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე მომხსენებლებთან და თანამომხსენებლებთან შეთანხმებით.

განცხადება კამათში გამოსვლისათვის სიტყვის მიცემის შესახებ შეაქვთ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის სახელზე. კამათში გამოსვლისათვის პირველად ეძლევათ 15 წუთამდე, მეორედ — 5 წუთამდე. სხდომის გაძღოლის წესის, აგრეთვე კენჭისყრის მოტივების თაობაზე გამოსვლისა და ცნობებისათვის ეძლევათ 5 წუთამდე.

სხდომის თავმჯდომარეს შეუძლია საჭირო შემთხვევებში დეპუტატთა თანხმობით გააგრძელოს გამოსვლის დრო.

**მუხლი 15.** კამათი წყდება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით. კამათის შეწყვეტის წინ სხდომის თავმჯდომარე აუწყებს დეპუტატებს გამოსვლისათვის ჩაწერილთა და გამოსულთა რიცხვს.

კამათის შეწყვეტის შემდეგ მომხსენებლებსა და თანამომხსენებლებს უფლება აქვთ გამოვიდნენ საბოლოო სიტყვით.

დეპუტატს შეუძლია სესიაზე განსახილველი საკითხის შესახებ თავისი წინადადებები და შენიშვნები თავმჯდომარეს გადასცეს წერილობით.

**მუხლი 16.** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომები ღიაა.

სხდომებზე იწვევენ სახელმწიფო ორგანოების, საზოგადოებრივი ორგანიზა-

ციების, შრომითი კოლექტივების, პრესის, ტელევიზიის, რადიოს წარმომადგენლებს, აგრეთვე სხვა პირებს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შემადგენლობაში შემავალი პირნი, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე და საქართველოს სსრ პროკურორი, თუ ისინი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატები არ არიან, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომებში მონაწილეობენ სათათბირო ხმის უფლებით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით შეიძლება ჩატარდეს დახურული სხდომა.

### თ ბ შ ი III

#### საპარტოვლოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი

**მუხლი 17.** საქართველოს სსრ კონსტიტუციის შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი არის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივმოქმედი ორგანო, რომელიც მთელ თავის საქმიანობაში ანგარიშვალდებულია მის წინაშე და საქართველოს სსრ კონსტიტუციით გათვალისწინებულ ფარგლებში ახორციელებს საქართველოს სსრ სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს ფუნქციებს უმაღლესი საბჭოს სესიებს შუა პერიოდში.

**მუხლი 18.** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს ირჩევენ დეპუტატებისაგან საქართველოს სსრ ახლად არჩეული უმაღლესი საბჭოს პირველ სესიაზე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის არჩევისას კენჭს უყრიან ჯერ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის კანდიდატურას, შემდეგ — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილეების, პრეზიდიუმის მდივნისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრების კანდიდატურებს — თითოეულ კანდიდატურას ან სხვა წესით, როგორც საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო გადაწყვეტს.

**მუხლი 19.** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომებს იწვევს და უძღვება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის დავალებით პრეზიდიუმის სხდომებს შეიძლება გაუძღვეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ერთ-ერთი მოადგილე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომებში შეიძლება მონაწილეობა მიიღონ სათათბირო ხმის უფლებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს კომისიათა თავმჯდომარეებმა, სა-

ქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარემ, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარემ, საქართველოს სსრ პროკურორმა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიწვევით — სხვა სახელმწიფო ორგანოებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებმა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის შემადგენლობაში შემავალ პირებს, აგრეთვე მის სხდომებში მონაწილე სხვა პირებს დროულად აცნობებენ იმ საკითხებს, რომელთა განხილვა გათვალისწინებულია სხდომებზე, და აწვდიან საჭირო მასალებს.

**მუხლი 20.** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ იმ საკითხების განხილვა, რომლებიც დაკავშირებულია საქართველოს სსრ მოქმედ საკანონმდებლო აქტებში ცვლილებათა შეტანასთან, საქართველოს სსრ სამინისტროებისა და საქართველოს სსრ სახელმწიფო კომიტეტების შექმნასა და გაუქმებასთან, საქართველოს სსრ კანონების განმარტებასთან, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების საქმიანობის ხელმძღვანელობასთან, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოებასა და საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა მინიჭებასთან, საქართველოს სსრ მოქალაქედ მიღებასთან, შეწყალებასთან და პრეზიდიუმის სხვა უფლებამოსილების განხორციელებასთან, ხდება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ განსაზღვრული წესით სსრ კავშირის კონსტიტუციის, საქართველოს სსრ კონსტიტუციის, ამ რეგლამენტის და სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ სხვა კანონების შესაბამისად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გადაწყვეტილებებს მიიღებენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საერთო შემადგენლობის უმრავლესობით.

**მუხლი 21.** განსახილველ საკითხებზე წინადადებების მოსამზადებლად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი საპირობების შემთხვევაში ქმნის მუდმივ და დროებით კომისიებს თავისი შემადგენლობიდან, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატებისაგან, აგრეთვე სახელმწიფო ორგანოების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, შრომითი კოლექტივების, სამეცნიერო დაწესებულებების წარმომადგენლებისაგან.

**მუხლი 22.** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დასამტკიცებლად მის მორიგ სესიაზე შეაქვს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესიებს შუა პერიოდში მიღებული ბრძანებულებები, რომლებიც საქართველოს სსრ კონსტიტუციის თანახმად უნდა წარედგინოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დასამტკიცებლად.

**მუხლი 23.** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესიების მოწვევასა და ჩატარებასთან დაკავშირებით:

1) უზრუნველყოფს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მიერ კანონთა პროექტებისა და სხვა საკითხების განხილვისათვის მზადებას, რომლებიც საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოში შეიტანეს სესიებს შუა პერიოდში, ორგანიზაციას უწევს კანონთა პროექტების მოსამზადებელი მუშაობის დაგეგმვას;

2) წინასწარ განიხილავს წინადადებებს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესიის დღის წესრიგისა და მუშაობის წესის თაობაზე;

3) აწვდის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატებს კანონების, დადგენილებების პროექტებსა და სხვა საჭირო მასალებს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესიაზე განსახილველი საკითხების შესახებ;

4) უზრუნველყოფს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებულ კანონებისა და სხვა აქტების გამოქვეყნებას;

5) წყვეტს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესიების მოწვევასა და ჩატარებასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს.

**მუხლი 24.** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიების საქმიანობის კოორდინაციასთან დაკავშირებით:

1) საჭიროების შემთხვევაში წინასწარი ან დამატებითი განხილვისათვის უმაღლესი საბჭოს მუდმივ კომისიებს გადასცემს კანონებისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ან საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხვა აქტების პროექტებს, აგრეთვე სხვა საკითხებს, ისმენს მუდმივი კომისიების ინფორმაციებს მათ მიერ მომზადებული დასკვნებისა და წინადადებების შესახებ;

2) იღებს მუდმივი კომისიების ერთობლივი მუშაობის ორგანიზაციისათვის საჭირო ზომებს რამდენიმე კომისიის გამკებლობას მიუთვნიებული საკითხების მომზადებისა და განხილვისას;

3) აძლევს დავალებებსა და რეკომენდაციებს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივ კომისიებს კანონთა პროექტების შემუშავების თაობაზე, სახელმწიფო ორგანოებისა და ორგანიზაციების საქმიანობისადმი კონტროლის განხორციელების საკითხებზე, სხვა საკითხების მომზადების შესახებ;

4) განიხილავს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში მუდმივი კომისიების მიერ შეტანილ წინადადებებს;

5) ისმენს სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ინფორმაციებს მუდმივი კომისიების რეკომენდაციათა განხილვის შედეგებისა და მათ გამო მიღებული ზომების შესახებ;

6) ეხმარება მუდმივ კომისიებს მუშაობის ორგანიზაციაში.

**მუხლი 25.** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატებისათვის მათი უფლებამოსილების ეფექტიან განხორციელებაში დახმარების აღმოჩენის მიზნით:

1) განიხილავს დეპუტატთა ინფორმაციებს ამომრჩეველთა, კოლექტივებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წინაშე ანგარიშების შესახებ, რომლებმაც ისინი დეპუტატობის კანდიდატებად დაასახელეს, აგრეთვე დეპუტატთა წინადა-



დებებს, განცხადებებსა და ცნობებს სადებუტატო საქმიანობასთან დაკავშირებულ საკითხებზე და იღებს მათ გამო საჭირო ზომებს;

2) აძლევს დავალებებს დებუტატებს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გამგებლობას მიკუთვნებულ საკითხებში სახელმწიფო ორგანოების, საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მუშაობის შემოწმების თაობაზე.

3) ახორციელებს კონტროლს სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანოების, თანამდებობის პირთა მიერ დებუტატების იმ წინადადებებისა და შენიშვნების განხილვისა და რეალიზაციისადმი, რომლებიც მათ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესიებზე გამოთქვეს, აგრეთვე საქართველოს სსრ ორგანოთა გამგებლობას მიკუთვნებულ საკითხებში ამომრჩეველთა მიერ დებუტატებისათვის მიცემული განაწესების შესრულებისადმი;

4) უზრუნველყოფს დებუტატებს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ოფიციალური გამოცემებით, საჭირო საცნობარო და სხვა მასალებით, აუწყებს დებუტატებს ამომრჩეველთა განაწესების რეალიზაციის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესიებზე დებუტატთა მიერ გამოთქმული შენიშვნებისა და წინადადებების გამო მიღებული ზომების შესახებ;

5) საჭირო დახმარებას უწევს დებუტატებს და ხელს უწყობს საარჩევნო ოლქებში მათი მუშაობის გამოცდილების ურთიერთგაზიარებას.

### თ ა ვ ი

#### საპარტიველოს სსრ უმაღლესი საბჭოს კომისიები

**მუხლი 26.** საქართველოს სსრ კონსტიტუციის შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო დებუტატებისაგან ირჩევს მუდმივ კომისიებს იმისათვის, რომ მათ წინასწარ განიხილონ და მოამზადონ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს გამგებლობას მიკუთვნებული საკითხები, აგრეთვე ხელი შეუწყონ საქართველოს სსრ კანონების, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და მისი პრეზიდიუმის სხვა გადაწყვეტილებების განხორციელებას, კონტროლი გაუწიონ სახელმწიფო ორგანოებისა და ორგანიზაციების საქმიანობას.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო, როცა საჭიროდ მიიჩნევს, მისი კომპეტენციის ნებისმიერ საკითხზე ქმნის საგამოძიებო, სარევიზიო და სხვა კომისიებს.

**მუხლი 27.** საქართველოს სსრ ახლად არჩეული უმაღლესი საბჭო პირველ სესიაზე ქმნის სამანდატო კომისიას, კანონმდებლობისა და სოციალისტური კანონიერების საკითხების კომისიას, საგეგმო-საბიუჯეტო კომისიას, საგარეო საქმეთა კომისიას, აგრეთვე მუდმივ კომისიებს სახელმწიფო, სამეურნეო და სოციალურ-კულტურული მშენებლობის სხვა საკითხებზე. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივ კომისიებს ირჩევენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უფლებამოსილების ვადით კომისიის თავმჯდომარისა და წევრების შემადგენლო-

ბით. მუდმივი კომისიების რიცხოვრივ შემადგენლობას განსაზღვრავს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო.

მუდმივი კომისიების შემადგენლობაში არ შეიძლება აირჩიონ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე, მისი მოადგილეები, აგრეთვე დეპუტატები, რომლებიც შედიან საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს შემადგენლობაში, და საქართველოს სსრ პროკურორი.

მუდმივი კომისიების არჩევისას კენჭს უყრიან მთლიანად კომისიის შემადგენლობას, ან თითოეულ კანდიდატურას, ან სხვა წესით, როგორც საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო გადაწყვეტს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უფლებამოსილების ვადის განმავლობაში შეუძლია შექმნას ახალი მუდმივი კომისიები და შეიტანოს ცვლილებები კომისიების შემადგენლობაში.

**მუხლი 28.** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიები პასუხისმგებელი და ანგარიშვალდებული არიან საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს წინაშე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიების საქმიანობას კორდინაციას უწევს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე, განაგებს რა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს შინაგანაწესს, დახმარებას უწევს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივ კომისიებს მუშაობის ორგანიზაციაში.

**მუხლი 29.** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიების საქმიანობის წესს საქართველოს სსრ კონსტიტუციის შესაბამისად განსაზღვრავს ეს რეგლამენტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიების დეპუტება, საქართველოს სსრ სხვა კანონები.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საგამოძიებო, სარევიზიო და სხვა კომისიების საქმიანობის წესს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო განსაზღვრავს მათი შექმნისას.

## თ ა ვ ი ო

### საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს — საქართველოს სსრ

#### მთავრობის — შექმნა

**მუხლი 30.** საკითხს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს — საქართველოს სსრ მთავრობის — შექმნის შესახებ განიხილავს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო თავის სხდომებზე.

**მუხლი 31.** საქართველოს სსრ კონსტიტუციის შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო თავის უფლებამოსილებას იხსნის საქართველოს სსრ ახლად არჩეული უმაღლესი საბჭოს წინაშე მის პირველ სესიაზე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო, განიხილავს რა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს განცხადებას უფლებამოსილების მოხსნის შესახებ, ნიშნავს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს და ავალებს მას წარუდგინოს საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოს წინადადება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პერსონალური შემადგენლობის შესახებ. ამავე დროს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო წყვეტს საკითხს იმის თაობაზე, რომ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ განაგრძოს თავის მოვალეობათა შესრულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მიერ საქართველოს სსრ ახალ მინისტრთა საბჭოს შექმნამდე.

**მუხლი #2.** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო განიხილავს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მიერ წარმოდგენილ წინადადებას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პერსონალური შემადგენლობის შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შექმნისას კენჭისყრა ეწყობა თითოეულ კანდიდატურაზე ან ერთდროულად ყველა კანდიდატურაზე, ან სხვა წესით, როგორც საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო გადაწყვეტს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შექმნის საკითხზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო იღებს დადგენილებას.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესიებს შუა პერიოდში საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შემადგენლობაში შემავალ ცალკეულ პირთა თანამდებობიდან განთავისუფლებისა და დანიშვნის საკითხებზე გამოსცემს ბრძანებულებებს.

### თ ა ვ ი VI

#### საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის შემქმნა,

#### საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს არჩევა

**მუხლი #3.** საკითხებს საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის შექმნისა და საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს არჩევის შესახებ განიხილავს საქართველოს სსრ ახლად არჩეული უმაღლესი საბჭოს პირველ სესიაზე.

**მუხლი #4.** საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტი იქმნება საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარის, თავმჯდომარის პირველი მოადგილის, თავმჯდომარის მოადგილეებისა და წევრების შემადგენლობით.

საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის შექმნისას კენჭისყრა ეწყობა თითოეულ კანდიდატურაზე ან ერთდროულად ყველა კანდიდატურაზე, ან სხვა წესით, როგორც საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო გადაწყვეტს.

**მუხლი #5.** საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს ირჩევენ საქართვე-

ლოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილე-ების, წევრებისა და სახალხო მსაჯულების შემადგენლობით.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს არჩევისას კენჭისყრა ეწყობა თითოეულ კანდიდატურაზე ან ერთდროულად ყველა კანდიდატურაზე, ან სხვა წესით, როგორც საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო გადაწყვეტს.

**მუხლი 36.** საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის შექმნისა და საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს არჩევის საკითხებზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო იღებს დადგენილებებს.

## მ ა შ ი VII

### საქართველოს სსრ კანონთა პროექტებისა და სხვა საკითხების

#### განხილვა

**მუხლი 37.** საქართველოს სსრ კანონთა პროექტები და სახელმწიფო, სამეურნეო და სოციალურ-კულტურული მშენებლობის სხვა საკითხები საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს განსახილველად შეაქვთ იმ ორგანოებს, ორგანიზაციებსა და პირებს, რომლებსაც საქართველოს სსრ კონსტიტუციის შესაბამისად აქვთ საკანონმდებლო ინიციატივის უფლება.

**მუხლი 38.** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს განსახილველად შეტანილი კანონების, დადგენილებებისა და სხვა აქტების პროექტებს საჭირო დასაბუთებით წარადგენენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში, ხოლო სესიების დროს შეიძლება წარუდგინონ აგრეთვე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს.

**მუხლი 39.** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს, ხოლო სესიებს შუა პერიოდში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს შეუძლიათ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოში შეტანილი კანონის პროექტი ან სხვა საკითხი წინასწარი ან დამატებითი განხილვისათვის გადასცენ ერთ ან რამდენიმე კომისიას.

თავიანთ დასკვნას კანონის პროექტის ან სხვა საკითხის გამო კომისიები აღეგენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს, ხოლო სესიებს შუა პერიოდში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს კანონის პროექტის ან სხვა საკითხის თაობაზე შეუძლიათ აზრი ჰკითხონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმებსა და მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საოლქო საბჭოს და მის აღმასრულებელ კომიტეტს, სახალხო დეპუტატ-



თა რაიონული, საქალაქო (რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქების) საბჭოებსა და მათ აღმასრულებელ კომიტეტებს, საქართველოს სსრ სხვა სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანოებსა და ორგანიზაციებს.

**მუხლი 40.** საქართველოს სსრ კანონთა პროექტები და რესპუბლიკის სახელმწიფო ცხოვრების სხვა მნიშვნელოვანი საკითხები საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ან საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გადაწყვეტილებით შეიძლება გამოიტანონ სახალხო განხილვისათვის. კანონთა პროექტები და შესაბამისი მასალები სხვა საკითხებზე სახალხო განხილვისათვის მათი გამოტანისას ქვეყნდება გაზეთებში „კომუნისტსა“ და „ზარია ვოსტოკაში“, სხვა რესპუბლიკურ და საოლქო გაზეთებში, ხოლო საჭიროების შემთხვევაში— ადგილობრივ პრესაშიც.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს შეუძლია აგრეთვე თავისი ინიციატივით ან საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიების, ან იმ ორგანოების, ორგანიზაციებისა და პირების წინადადებით, რომლებსაც კანონპროექტი შემოაქვთ, მიიღოს გადაწყვეტილება საზოგადოებრიობის მიერ განხილვისათვის სპეციალიზებულ პერიოდულ გამოცემებში კანონის პროექტის გამოქვეყნების შესახებ.

განხილვის მსვლელობაში კანონთა პროექტებისა და სხვა საკითხების თაობაზე შემოსულ მოქალაქეთა, შრომითი კოლექტივების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების წინადადებებს განიხილვენ და განაზოგადებენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ან მისი პრეზიდიუმის მიერ განსაზღვრული წესით და მოახსენებენ საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოს კანონის პროექტის ან სხვა საკითხის სესიაზე განხილვისას.

**მუხლი 41.** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომებზე კანონპროექტებსა და სხვა საკითხებს განიხილვენ საქართველოს სსრ კონსტიტუციისა და ამ რეგლამენტის შესაბამისად.

**მუხლი 42.** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს განსახილველად კანონპროექტის ან სხვა საკითხის შემტანი ორგანო ან ორგანიზაცია ნიშნავს მომხსენებელს. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივ და სხვა კომისიებს შეუძლიათ გამოყონ თანამომხსენებლები იმ საკითხებზე, რომლებსაც სესია განიხილავს. მომხსენებლებისა და თანამომხსენებლების შესახებ აცნობებენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს, ხოლო სესიის დროს — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს.

**მუხლი 43.** კანონის პროექტის ან სხვა საკითხის განხილვის წესს განსაზღვრავს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო. კანონპროექტის ხასიათიდან გამომდინარე საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება კანონის პროექტის ჯერ საერთო, შემდეგ კი მუხლების მიხედვით განხილვის თაობაზე. მუხლების მიხედვით განხილვა ეწყობა მას შემდეგ, როდესაც მიიღებენ გადაწყვეტილებას კანონპროექტის ძირითად დებულებათა მოწონების შესახებ, თუ არ იქნა მიღებული სხვა წინადადება.

**მუხლი 44.** შესწორებები კანონის ან სხვა აქტის პროექტის თაობაზე დებუტატებს შეუძლიათ შეიტანონ ზეპირად ან წერილობით. წერილობით შეტანილ

შესწორებებს სხდომის თავმჯდომარე აცნობებს დეპუტატებს. დეპუტატის თხოვნით მას ეძლევა სიტყვა შეტანილი შესწორების დასასაბუთებლად.

კანონებისა და სხვა აქტების პროექტთა შესწორებებს კენჭს უყრიან. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით შესწორებები შეიძლება გადასცენ შესაბამის კომისიებს ამ შესწორებათა გამო წინადადების მოსამზადებლად. კომისიათა წინადადებებს კენჭს უყრიან საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოში. დეპუტატის მოთხოვნით მის მიერ შეტანილ შესწორებებსაც, რომლებიც წინასწარ განიხილეს შესაბამის კომისიებში, კენჭი უნდა უყარონ.

**მუხლი 45.** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესიაზე დეპუტატების მიერ გამოთქმული და მუდმივი კომისიების დასკვნებში მოცემულ წინადადებებსა და შენიშვნებს, რომლებიც არ შეეხება კანონებისა და სხვა აქტების პროექტების შესწორებებს, თუ ისინი სესიაზე არ გადაწყდა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი უგზავნის შესაბამის სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანოებს, რომლებიც მათი განხილვის შედეგებისა და მიღებული ზომების შესახებ დადგენილ ვადაში აუწყებენ დეპუტატს, მუდმივ კომისიას, აგრეთვე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს.

**მუხლი 46.** სესიაზე განსახილველი კანონის ან სხვა აქტის პროექტის ტექსტი, აგრეთვე კომისიათა დასკვნები პროექტის შესახებ დროულად გადაეცემათ დეპუტატებს. თუ პროექტი აქტისა, რომელსაც არ გააჩნია ზოგადნორმატიული ხასიათი, არ გადაეცა დეპუტატებს, მას წაიკითხავენ კენჭისყრის წინ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით კანონის ან სხვა აქტის პროექტის კენჭისყრა შეიძლება მოეწყოს მთლიანად, ან ჯერ მუხლების, კარების, თავების მიხედვით, შემდეგ კი — მთლიანად.

**მუხლი 47.** საქართველოს სსრ კონსტიტუციის შესაბამისად საქართველოს სსრ კანონი მიღებულად ითვლება, თუ მას ხმას მისცემს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა საერთო რიცხვის უმრავლესობა, კანონი საქართველოს სსრ კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ მიღებულად ითვლება, თუ მას ხმას მისცემს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა საერთო რიცხვის სულ ცოტა ორი მესამედი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილებებსა და სხვა აქტებს მიიღებენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა საერთო რიცხვის უმრავლესობით.

**მუხლი 48.** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით საქართველოს სსრ კანონთა პროექტები და რესპუბლიკის სახელმწიფო ცხოვრების მნიშვნელოვანი საკითხები შეიძლება გამოტანილ იქნეს სახალხო კენჭის საყრელად (რეფერენდუმი). რეფერენდუმის ჩატარების თაობაზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო იღებს დადგენილებას.

თ ა ვ ი VIII

საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების  
სახელმწიფო გეგმების, საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტისა  
და მათი შესრულების ანგარიშების განხილვა

**მუხლი 49.** საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმები, საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტი და მათი შესრულების ანგარიშები, აგრეთვე შესაბამისი კანონებისა და დადგენილებების პროექტები საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოში შეაქვს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს არა უგვიანეს ერთი თვისა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესიაზე მათს განხილვამდე.

საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმებს, საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტსა და მათი შესრულების ანგარიშებს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი წინასწარ განსახილველად და მათ გამო დასკვნების მოსამზადებლად გადასცემს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საგეგმო-საბიუჯეტო და სხვა მუდმივ კომისიებს.

**მუხლი 50.** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო განიხილავს საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმებს, საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტს, გეგმებისა და ბიუჯეტის შესრულების ანგარიშებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მოხსენებების, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საგეგმო-საბიუჯეტო და სხვა მუდმივი კომისიების დასკვნებისა და თანამოსხენებების მიხედვით. მასალები გეგმის, ბიუჯეტისა და მათი შესრულების ანგარიშების შესახებ, აგრეთვე მუდმივი კომისიების შესაბამისი დასკვნები დროულად გადაეცემათ დეპუტატებს.

**მუხლი 51.** საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმებისა და საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტის დამტკიცება ხდება საქართველოს სსრ კანონებით.

კანონს საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კენჭს უყრიან მას შემდეგ, როდესაც საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო დაამტკიცებს საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლის საერთო თანხასა და გასავლის საერთო თანხას, თუ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო სხვა გადაწყვეტილებას არ მიიღებს.

საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმებისა და საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშების თაობაზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო იღებს დადგენილებებს.

### თ ა ვ ი IX

#### საგარეო-პოლიტიკური საკითხების განხილვა

**მუხლი 52.** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი განიხილავენ საგარეო-პოლიტიკურ საკითხებს, ხელმძღვანელობენ რა სსრ კავშირის კონსტიტუციით განსაზღვრული საგარეო პოლიტიკის მიზნებით, ამოცანებითა და პრინციპებით.

**მუხლი 53.** საერთაშორისო ურთიერთობის დარგში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საქმიანობის წესი განსაზღვრება სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ საკანონმდებლო აქტების შესაბამისად.

**მუხლი 54.** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო ან მისი პრეზიდიუმი განსაზღვრავენ მათ მიერ საზღვარგარეთის ქვეყნებში წარსაგზავნ დელეგაციათა შემადგენლობას, ისმენენ მათს ანგარიშებსა და ინფორმაციებს და იღებენ შესაბამის დადგენილებებს.

### თ ა ვ ი X

#### საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მიერ საკონტროლო უფლებამოსილების განხორციელება

**მუხლი 55.** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო უშუალოდ და მის მიერ შექმნილი ორგანოების მეშვეობით ახორციელებს კონტროლს სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ სსრ კავშირის კონსტიტუციის, საქართველოს სსრ კონსტიტუციის, სსრ კავშირის კანონებისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხვა გადაწყვეტილებათა, საქართველოს სსრ კანონებისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხვა გადაწყვეტილებათა დაცვასა და განხორციელებაზე, საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმებისა და სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულებაზე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს წინაშე ყველა ანგარიშვალდებული სახელმწიფო ორგანოს საქმიანობაზე.

**მუხლი 56.** საქართველოს სსრ კონსტიტუციის შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო თავისი მუშაობის შესახებ რეგულარულად აბარებს ანგარიშს საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესიებს შუა პერიოდში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს შეუძლია მოისმინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მოხსენებები მისი მუშაობის საკითხებზე.

საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოს, ხოლო სესიებს შუა პერიოდში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს შეუძლიათ ავრთვე მოისმინონ



მინისტრების, საქართველოს სსრ სახელმწიფო კომიტეტების თავმჯდომარეების, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სხვა წევრების ანგარიშები.

**მუხლი 57.** საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტი უფლებამოსილების პერიოდში სულ ცოტა ერთხელ მაინც წარუდგენს ანგარიშს თავისი საქმიანობის შესახებ საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოს, თავისი საქმიანობის თაობაზე სისტემატურად მოახსენებს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს და კანონით დადგენილი წესით — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

**მუხლი 58.** საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლო უფლებამოსილების პერიოდში სულ ცოტა ერთხელ მაინც წარუდგენს ანგარიშს თავისი საქმიანობის თაობაზე საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოს და თავისი საქმიანობის შესახებ სისტემატურად მოახსენებს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს.

**მუხლი 59.** შეკითხვის წესით დაყენებული საკითხი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიმართ, მინისტრებისა და სხვა იმ ორგანოების ხელმძღვანელთა მიმართ, რომლებსაც საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო ქმნის, აგრეთვე საქართველოს სსრ ტერიტორიაზე განლაგებული საკავშირო დაქვემდებარების საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელთა მიმართ საქართველოს სსრ გამგებლობას მიკუთვნებულ საკითხებზე დეპუტატმა შეიძლება შეიტანოს წერილობით ან ზეპირად.

წერილობით შეტანილ შეკითხვის წესით დაყენებულ საკითხს თავმჯდომარე გამოაქვეყნებს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომაზე.

სხდომის თავმჯდომარე დაუყოვნებლივ აცნობს შეკითხვის წესით დაყენებულ საკითხს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს, მინისტრს ან სხვა ორგანოს ხელმძღვანელს, რომელთაც შეკითხვის წესით მიმართავენ. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ან თანამდებობის პირი, რომელთაც შეკითხვის წესით მიმართავენ, ვალდებული არიან სიტყვიერი ან წერილობითი პასუხი გასცენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ამ სესიაზე.

პასუხს შეკითხვის წესით მიმართვაზე ისმენენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომაზე და იგი შეიძლება განიხილონ კიდევ. შეკითხვის წესით დაყენებულ საკითხზე გაცემული პასუხის მიხედვით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო იღებს დადგენილებას.

მუდმივი კომისიების მიერ შეკითხვის წესით დაყენებულ საკითხებს განიხილავენ ამ მუხლით დადგენილი წესით.

**მუხლი 60.** სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების, თანამდებობის პირთა მიერ საქართველოს სსრ კონსტიტუციის დაცვის საკითხებს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში განიხილავს თავისი ინიციატივით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის უმაღლესი ორგანოების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს, სახალხო დეპუტატთა რაიონული და საქალაქო (რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალა-

ქების) საბჭოებისა და მათი აღმასრულებელი კომიტეტების, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივი და სხვა კომისიების, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატების, საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს, საქართველოს სსრ პროკურორის, საზოგადოებრივი ორგანიზაციების რესპუბლიკური და საოლქო ორგანოების წარდგინებით.

იმ შემთხვევაში, თუ გამოვლენილ იქნა სხვაობა აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ კონსტიტუციის ან კანონისა საქართველოს სსრ კონსტიტუციასთან ან კანონთან, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აყენებს საკითხს შესაბამისი ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წინაშე იმის შესახებ, რომ ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუცია ან კანონი შეუსაბამოს საქართველოს სსრ კონსტიტუციას ან კანონს, ამასთან საჭიროების შემთხვევაში გამოსცემს ბრძანებულებას ამ საკითხზე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, აფხაზეთის ასსრ ან აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოების დადგენილების ან განკარგულების, აგრეთვე სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს, სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო (რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქის) საბჭოს გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ, კანონთან მათი შეუსაბამობის შემთხვევაში, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი გამოსცემს ბრძანებულებას.

**მუხლი 61.** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიები, მონაწილეობენ რა სსრ კავშირის კანონებისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს და მისი პრეზიდიუმის სხვა გადაწყვეტილებათა, საქართველოს სსრ კანონების, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და მისი პრეზიდიუმის სხვა გადაწყვეტილებების რეალიზაციისადმი, სახელმწიფო ორგანოებისა და ორგანიზაციების საქმიანობისადმი კონტროლის განხორციელებაში, შეიმუშავენ წინადადებებს და იღებენ რეკომენდაციებს, რომლებიც აუცილებლად უნდა განიხილოს შესაბამისმა სახელმწიფო და საზოგადოებრივმა ორგანოებმა, დაწესებულებებმა და ორგანიზაციებმა.

### 0 1 3 0 X I

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს აქტების გამოკვეთება, სტანდარტიზაციული ანგარიშებისა და სხვა დოკუმენტების გამოცემა

**მუხლი 62.** საქართველოს სსრ კანონები, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილებები და სხვა აქტები, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებები და დადგენილებები არა უკვიანეს შეიდდოს ვადისა მათი მიღების შემდეგ ქვეყნდება ქართულ და რუსულ ენებზე, ხოლო ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქისათვის — აგრეთვე ავტონომიური რესპუბლიკისა და ავტონომიური ოლქის ენაზე, საქართველოს

სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარისა და მდივნის ხელმოწერით.

საქართველოს სსრ კანონები, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილებები და სხვა აქტები უნდა გამოქვეყნდეს „საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებებში“, რესპუბლიკურ გაზეთებში „კომუნისტა“ და „ზარია ვოსტოკაში“ და საოლქო გაზეთებში, ხოლო საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებები და დადგენილებები, რომლებსაც ზოგადი მნიშვნელობა აქვთ, — „საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებებში“. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის აქტები, რომლებიც ფართო და დაუყოვნებლივ გამოქვეყნება მოითხოვენ, იბეჭდება აგრეთვე რესპუბლიკურ გაზეთებში „კომუნისტა“ და „ზარია ვოსტოკაში“ და საოლქო გაზეთებში. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის აქტები შეიძლება გამოქვეყნდეს აგრეთვე მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებათა მეშვეობით.

**მუხლი 63.** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომების ოქმებს ხელს აწერს სხდომის თავმჯდომარე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ოქმებს ხელს აწერენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე და პრეზიდიუმის მდივანი ან საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე, რომელიც თავმჯდომარეობდა სხდომას, და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი.

კანონის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხვა აქტის ან მისი პრეზიდიუმის ბრძანებულების, დადგენილების ტექსტის დედანს ხელს აწერენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე და მდივანი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ან მისი პრეზიდიუმის მიერ მიღებული ყოველი აქტი შეაქვთ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის აქტების რეგისტრაციის სახელმწიფო წიგნში რიგითი ნომრის მიკუთვნებით.

**მუხლი 61.** საინფორმაციო ცნობები საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომების შესახებ ქვეყნდება საყოველთაო გაცნობისათვის.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესიების სტენოგრაფიული ანგარიშები გამოიცემა ქართულ და რუსულ ენებზე.

### თ ა ვ ი X I I

#### საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს აპარატი და ხარჯების წესბა

**მუხლი 65.** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მისი პრეზიდიუმის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს კომისიების საქმიანობის მომსახურებას უზრუნველყოფს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის აპარატი.

დებულებას აპარატის შესახებ, მის სტრუქტურასა და შტატებს ამტკიცებს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი.

**მუხლი 66.** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მისი ორგანოების საქმიანობასთან დაკავშირებული ხარჯების ნუსხას ამტკიცებს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ჰილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1980 წლის 28 მარტი.

## კანონი საქართველოს საზოგადოებრივი სოციალისტური რესპუბლიკისა

### 85 საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიების დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

შეტანილ იქნეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიების დებულებაში (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1968 წ., № 12, მუხ. 192; 1970 წ., № 6, მუხ. 106; 1974 წ., № 6, მუხ. 102) სსრ კავშირის კონსტიტუციიდან და საქართველოს სსრ კონსტიტუციიდან გამომდინარე ცვლილებები და დამატებები და დამტკიცდეს აღნიშნული დებულების ახალი რედაქცია.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ჰილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1980 წლის 28 მარტი.

### საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიების დებულება

#### 1. მუდმივი კომისიების ორგანიზაციისა და საქმიანობის ძირითადი პრინციპები, მათი შექმნის წესი

**მუხლი 1.** საქართველოს სსრ კონსტიტუციის შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო დეპუტატთაგან ირჩევს მუდმივ კომისიებს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს გამგებლობის საკითხების წინასწარ განსახილველად და მოსამზადებლად, აგრეთვე საქართველოს სსრ კანონების, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და მისი პრეზიდიუმის სხვა ვადამწვეტილებების განხორ-



ციელებისათვის ხელშესაწყობად, სახელმწიფო ორგანოებისა და ორგანიზაციების საქმიანობაზე კონტროლისათვის.

**მუხლი 2.** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიების ძირითადი ამოცანებია:

წინადადებების შემუშავება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ან მისი პრეზიდიუმის განსახილველად;

დასკვნების მომზადება იმ საკითხებზე, რომლებიც შეტანილია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და მისი პრეზიდიუმის განსახილველად;

სახელმწიფო ორგანოებისა და ორგანიზაციების, აგრეთვე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატებისათვის ხელის შეწყობა მუშაობაში სსრ კავშირის კანონებისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსა და მისი პრეზიდიუმის სხვა გადაწყვეტილებათა, საქართველოს სსრ კანონებისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და მისი პრეზიდიუმის სხვა გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის;

კონტროლის გაწევა საქართველოს სსრ სამინისტროების, სახელმწიფო კომიტეტებისა და უწყებების, სხვა რესპუბლიკური ორგანიზაციების, აგრეთვე ადგილობრივი სახელმწიფო ორგანოებისა და ორგანიზაციების საქმიანობისადმი სსრ კავშირის კონსტიტუციისა და საქართველოს სსრ კონსტიტუციის, სსრ კავშირის კანონებისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსა და მისი პრეზიდიუმის სხვა გადაწყვეტილებათა, საქართველოს სსრ კანონებისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და მისი პრეზიდიუმის სხვა გადაწყვეტილებათა განსახორციელებლად;

კონტროლის გაწევა საქართველოს სსრ ტერიტორიაზე განლაგებული საკავშირო დაქვემდებარების საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების საქმიანობისადმი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს გამგებლობის საკითხებში;

ხელის შეწყობა სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანოების, თანამდებობის პირთათვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესიებზე დეპუტატთა მიერ გამოთქმული წინადადებებისა და შენიშვნების განხილვა-რეალიზაციისა და აგრეთვე საქართველოს სსრ ორგანოების გამგებლობის საკითხებზე დეპუტატებისათვის ამომრჩეველთა მიერ მიცემული ვანაწყების შესრულებისადმი კონტროლის განხორციელებაში.

დაკისრებული ამოცანების შესრულებისას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიები მოწოდებული არიან მთელი თავიანთი მუშაობით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესიების დროს და სესიებს შუა პერიოდში ხელი შეუწყონ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს, როგორც საქართველოს სსრ ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს, მუდმივ და ეფექტიან საქმიანობას.

**მუხლი 3.** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიები თავიანთ საქმიანობაში ხელმძღვანელობენ სსრ კავშირის კონსტიტუციითა და საქართველოს სსრ კონსტიტუციით, სსრ კავშირის კანონებითა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსა და მისი პრეზიდიუმის სხვა გადაწყვეტილებებით,

საქართველოს სსრ კანონებითა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და მისი პრეზიდიუმის სხვა გადაწყვეტილებებით.

**მუხლი 4.** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიების საქმიანობას საფუძვლად უდევს საქართველოს სსრ და სსრ კავშირის ინტერესების ერთიანობა, საქართველოს სსრ ტერიტორიაზე საწარმოო ძალების რაციონალური განლაგების, სახალხო მეურნეობის ყველა რვოლში საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის ამაღლების, კომპლექსური ეკონომიკური და სოციალური განვითარების აუცილებლობა, აგრეთვე აფხაზეთის ასს რესპუბლიკის, აჭარის ასს რესპუბლიკის და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ეროვნულ და სხვა თავისებურებათა გათვალისწინება.

**მუხლი 5.** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო ქმნის სამანდატო კომისიას, კანონმდებლობისა და სოციალისტური კანონიერების საკითხების კომისიას, საგეგმო-საბიუჯეტო კომისიას, საგარეო საქმეთა კომისიას, აგრეთვე მუდმივ კომისიებს სახელმწიფო, სამეურნეო და სოციალურ-კულტურული მშენებლობის სხვა საკითხებზე.

**მუხლი 6.** მუდმივ კომისიებს ირჩევს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო საქართველოს სსრ ამ მოწვევის უმაღლესი საბჭოს უფლებამოსილების ვადით კომისიის თავმჯდომარისა და კომისიის წევრების შემადგენლობით. კომისიის რიცხოვრივ შემადგენლობას განსაზღვრავს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო. თითოეული მუდმივი კომისია თავისი წევრებისაგან ირჩევს კომისიის თავმჯდომარის მოადგილესა და მდივანს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავისი უფლებამოსილების ვადის განმავლობაში შეუძლია შექმნას ახალი მუდმივი კომისიები და შეიტანოს ცვლილებები კომისიების შემადგენლობაში.

მუდმივი კომისიების შემადგენლობაში არ შეიძლება არჩეულ იქნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე, მისი მოადგილეები, აგრეთვე დეპუტატები, რომლებიც შედიან საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს შემადგენლობაში, და საქართველოს სსრ პროკურორა.

**მუხლი 7.** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიები პასუხისმგებელი და ანგარიშვალდებული არიან საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს წინაშე.

მუდმივი კომისიების საქმიანობას კოორდინაციას უწევს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე, განაგებს რა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს შინაგანაწესს, ეხმარება მუდმივ კომისიებს მუშაობის ორგანიზაციაში.

**მუხლი 8.** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიების მუშაობა ემყარება საკითხების კოლექტიურ, თავისუფალ, საქმიან განხილვასა

და გადაწყვეტას, საჯაროობასა და მუდმივი კომისიების წევრთა ფართო ინიციატივას.

უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიები მოქმედებენ საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან თანამშრომლობით, სწავლობენ და ითვალისწინებენ საზოგადოებრივ აზრს.

## II. მუდმივი კომისიების გამგებლობის საკითხები

**მუხლი 9.** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიების გამგებლობის საკითხებს, უფლებებსა და მოვალეობებს, ორგანიზაციისა და საქმიანობის წესს განსაზღვრავენ საქართველოს სსრ კონსტიტუცია, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს რეგლამენტი, ეს დებულება, საქართველოს სსრ კანონები და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხვა გადაწყვეტილებები.

**მუხლი 10.** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სამანდატო კომისიას ევალება:

1) შეამოწმოს საქართველოს სსრ კონსტიტუციის 105-ე მუხლის საფუძველზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა უფლებამოსილება და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს განსახილველად წარუდგინოს წინადადებანი დეპუტატთა უფლებამოსილების ცნობის შესახებ, ხოლო არჩევნების კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევაში — ცალკეულ დეპუტატთა არჩევნების ბათილად ცნობის თაობაზე;

2) მოამზადოს და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს წარუდგინოს წინადადებები გამოკლებულთა ნაცვლად დეპუტატების არჩევნების ჩატარების საკითხებზე;

3) შეიმუშაოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მისი პრეზიდიუმის დავალბით, აგრეთვე თავისი ინიციატივით საქართველოს სსრ კანონების, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და მისი პრეზიდიუმის სხვა აქტების პროექტები და წინადადებები დეპუტატის საქმიანობასთან დაკავშირებულ საკითხებზე, მოამზადოს და წარადგინოს დასკვნები კომისიისათვის წინასწარ ან დამატებით განსახილველად გადაცემული ასეთი საკითხების შესახებ;

4) მოამზადოს დასკვნები იმ საკითხებზე, რომლებიც დაკავშირებულია დეპუტატის ხელშეუხებლობასა და დეპუტატის საქმიანობის სხვა გარანტიებთან ან ამომრჩეველთა მიერ დეპუტატის გაწვევასთან.

**მუხლი 11.** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს კანონმდებლობისა და სოციალისტური კანონიერების საკითხების კომისიას ევალება:

1) შეიმუშაოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს, მისი პრეზიდიუმის დავალბით, აგრეთვე თავისი ინიციატივით საქართველოს სსრ კანონების, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და მისი პრეზიდიუმის სხვა აქტების პროექტები, მოამზადოს კანონმდებლობის სრულყოფასთან, მართლმსაჯულების განხორციელებასთან, სოციალისტური კანონიერებისა და მართლწესრიგის განმტკიცებასთან დაკავშირებული სხვა საკითხები;

2) წინასწარ ან დამატებით განიხილოს კომისიისათვის გადაცემული საქართველოს სსრ კანონების, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და მისი პრეზიდიუმის სხვა აქტების პროექტები და მოამზადოს შესაბამისი დასკვნება;

3) სხვა მუდმივი კომისიების თხოვნით მონაწილეობა მიიღოს საქართველოს სსრ კანონებისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მისი პრეზიდიუმის სხვა აქტების იმ პროექტების შემუშავებაში, რომლებსაც ამზადებენ შესაბამისი კომისიები;

4) მოამზადოს წინადადებანი საქართველოს სსრ კანონმდებლობის კოდიფიკაციისა და სისტემატიზაციის საკითხებზე;

5) მოისმინოს საქართველოს სსრ სამინისტროების, სახელმწიფო კომიტეტებისა და უწყებების, სხვა ორგანიზაციების, აგრეთვე ადგილობრივი სახელმწიფო ორგანოებისა და ორგანიზაციების ინფორმაციები და მოხსენებები სოციალისტური კანონიერების განმტკიცების, მოქალაქეთა უფლებებისა და კანონით დაცული ინტერესების დაცვის, კანონმდებლობის სრულყოფის საკითხებზე.

**მუხლი 12.** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საგეგმო-საბიუჯეტო კომისიას ევალება:

1) წინასწარ განიხილოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დასამტკიცებლად შეტანილი საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმები და ანგარიშები სახელმწიფო გეგმების შესრულების შესახებ;

2) წინასწარ განიხილოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დასამტკიცებლად შეტანილი საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტი და ანგარიში სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ;

3) განიხილოს საქართველოს სსრ სამინისტროების, სახელმწიფო კომიტეტებისა და უწყებებისაგან, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის, სახალხო დეპუტატთა რაიონული და საქალაქო (რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქების) საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების, პროფესიული კავშირების საქართველოს რესპუბლიკური და საოლქო საბჭოებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების სხვა რესპუბლიკური და საოლქო ორგანოებისაგან კომისიაში შემოსული წინადადებები, რომლებიც ეხება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დასამტკიცებლად შეტანილ საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმებისა და საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტის მაჩვენებელთა ცვლილებას;

4) მოამზადოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხვა მუდმივ კომისიებთან ერთად დასკვნები საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმებისა და საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტის, გეგმებისა და ბიუჯეტის შესრულების შესახებ ანგარიშების თაო-



ბანე და წარუდგინოს ეს დასკვნები საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოსა და მის პრეზიდიუმს;

5) შეიმუშაოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს, მისი პრეზიდიუმის დაავალბით, აგრეთვე თავისი ინიციატივით საქართველოს სსრ კანონების, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და მისი პრეზიდიუმის სხვა აქტების პროექტები და წინადადებები ეკონომიკური და სოციალური განვითარების დადაგეგმვის საბიუჯეტო-საფინანსო საკითხებზე, მოამზადოს და წარადგინოს დასკვნები კომისიისათვის წინასწარ ან დამატებით განსახილველად გადაცემულ ასეთი საკითხების შესახებ;

6) მოისმინოს საქართველოს სსრ სამინისტროების, სახელმწიფო კომიტეტებისა და უწყებების, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის, სახალხო დეპუტატთა რაიონული და საქალაქო (რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქების) საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების ინფორმაციები და მოხსენებები საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმისა და საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების საკითხებზე, აგრეთვე სახელმწიფო ორგანოებისა და ორგანიზაციების მოხსენებები იმ საკითხებზე, რომლებიც ეხება დაგეგმვას, დაფინანსებას, დაკრედიტებასა და ეკონომიკური და სოციალური განვითარების სხვა საკითხებს.

**მუხლი 13.** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საგარეო საქმეთა კომისიას ევალება:

1) მოამზადოს და წინასწარ განიხილოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მისი პრეზიდიუმის მიერ სსრ კავშირის კონსტიტუციისა და საქართველოს სსრ კონსტიტუციის შესაბამისად დადასაწყვეტი საგარეო-პოლიტიკური საკითხები, აგრეთვე წინადადებები და დასკვნები ამ საკითხებზე წარუდგინოს საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოს და მის პრეზიდიუმს;

2) საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და მისი პრეზიდიუმის დაავალბით, აგრეთვე თავისი ინიციატივით შეიმუშაოს საქართველოს სსრ კანონებისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და მისი პრეზიდიუმის სხვა აქტების პროექტები საგარეო-პოლიტიკურ საკითხებზე.

3) მოისმინოს საქართველოს სსრ სამინისტროების, სახელმწიფო კომიტეტების, უწყებებისა და ორგანიზაციების ინფორმაციები და მოხსენებები უცხოეთის სახელმწიფოებთან ეკონომიკური, სამეცნიერო, კულტურული და სხვა კავშირის განვითარების საკითხებში მათი საქმიანობის შესახებ.

**მუხლი 14.** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივ კომისიებს სახელმწიფო, სამეურნეო და სოციალურ-კულტურული მშენებლობის სხვა საკითხებზე ევალება:

1) წინასწარ განიხილონ და მოამზადონ საკითხები სახელმწიფო, სამეურნეო და სოციალურ-კულტურული მშენებლობის შესაბამისი დარგების მდგომარეობის შესახებ;

მარეობისა და განვითარების შესახებ, რომლებიც კომისიების გამგებლობას ვანეკუთვნება, და შეიმუშაონ წინადადებანი ასეთ საკითხებზე;

2) შეიმუშაონ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს, მისი პრეზიდიუმის დავალებით ან თავისი ინიციატივით საქართველოს სსრ კანონებისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და მისი პრეზიდიუმის სხვა აქტების პროექტები კომისიების გამგებლობის საკითხებზე, აგრეთვე მოამზადონ დასკვნები კომისიებისათვის წინასწარ ან დამატებით განსახილველად გადაცემული ასეთი საკითხების შესახებ;

3) წინასწარ განიხილონ საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმების, საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტის შესაბამისი განყოფილებები და მანქვნებლები და ანგარიშები გეგმებისა და ბიუჯეტის შესრულების შესახებ;

4) განიხილონ საქართველოს სსრ სამინისტროებისაგან, სახელმწიფო კომიტეტებისა და უწყებების, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის, სახალხო დეპუტატთა რაიონული და საქალაქო (რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქების) საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების, პროფესიული კავშირების საქართველოს რესპუბლიკური და საოლქო საბჭოებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების სხვა რესპუბლიკური და საოლქო ორგანოებისაგან კომისიაში შემოსული წინადადებები, რომლებიც ეხება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დასამტკიცებლად შეტანილი საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმებისა და საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტის შესაბამის მანქვნებელთა ცვლილებას;

5) მოამზადონ საგეგმო-საბიუჯეტო კომისიასთან ერთად დასკვნები საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმებისა და საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტის, გეგმებისა და ბიუჯეტის შესრულების შესახებ ანგარიშების თაობაზე და წარუდგინონ ეს დასკვნები საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოს, მის პრეზიდიუმს;

6) მოისმინონ საქართველოს სსრ შესაბამისი სამინისტროების, სახელმწიფო კომიტეტებისა და უწყებების, სხვა ორგანიზაციების, აგრეთვე ადგილობრივი სახელმწიფო ორგანოებისა და ორგანიზაციების ინფორმაციები და მოხსენებები კომისიების გამგებლობის საკითხებზე.

**მუხლი 15.** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს რამდენიმე მუდმივი კომისიის გამგებლობის საკითხები, კომისიების ინიციატივით, აგრეთვე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ან მისი პრეზიდიუმის დავალებით კომისიებმა შეიძლება ერთობლივად მოამზადონ და განიხილონ.

მუდმივ კომისიას მის მიერ განსახილველ საკითხებზე შეუძლია აზრი გამოჰკითხოს სხვა მუდმივ კომისიებს.

**მუხლი 16.** თუ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივ კომისიას მიაჩნია, რომ მისთვის განსახილველად გადაცემული საკითხი სხვა კომისიის გამგებლობასაც განეკუთვნება, ან თუ საჭიროდ თვლის გამოთქვას თავისი

ანრი სხვა მუდმივი კომისიის მიერ განსახილველ საკითხზე, მას უფლება აქვს შეიტანოს წინადადება ამის შესახებ საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოსა ან მის პრეზიდიუმში.

მუდმივ კომისიას სხვა მუდმივი კომისიების თხოვნით შეუძლია თავისი გამგებლობის საკითხებში მონაწილეობა მიიღოს ამ კომისიების მიერ განსახილველი საკითხების მომზადებაში.

### III. მუდმივი კომისიების უფლებები და მოვალეობები

**მუხლი 17.** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიები თავიანთი გამგებლობის საკითხების განხილვისას თანაბარი უფლებებით სარგებლობენ და თანაბარი მოვალეობები აკისრიათ.

**მუხლი 18.** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივ კომისიებს საკანონმდებლო ინიციატივის უფლება აქვთ საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოში, აგრეთვე უფლება აქვთ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და მისი პრეზიდიუმის განსახილველად შეიტანონ სახელმწიფო და სოციალურ-კულტურული მშენებლობის შესაბამისი საკითხები.

**მუხლი 19.** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივ კომისიებს შეუძლიათ გამოვიდნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და მისი პრეზიდიუმის სხდომებზე მოხსენებებით და თანამოხსენებებით თავიანთი გამგებლობის საკითხებზე.

მუდმივი კომისიები საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოსა და მის პრეზიდიუმში მათ მიერ შეტანილ საკითხებზე, ანდა კომისიებისათვის წინასწარ ან დაშატებით განსახილველად გადაცემულ საკითხებზე გამოყოფენ თავიანთ მომხსენებლებს ან თანამომხსენებლებს.

მუდმივი კომისიების მიერ ერთობლივად მომზადებულ საკითხებზე კომისიებს შეუძლიათ გამოვიდნენ ერთობლივი მოხსენებებით და თანამოხსენებებით ან ცალ-ცალკე წარმოადგინონ თავიანთი შენიშვნები და წინადადებები.

**მუხლი 20.** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივ კომისიებს უფლება აქვთ შეიტანონ საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოსა ან მის პრეზიდიუმში წინადადებები საქართველოს სსრ კანონების პროექტების ან რესპუბლიკის სახელმწიფო ცხოვრების სხვა მნიშვნელოვანი საკითხების სახალხო განხილვისათვის გადაცემის შესახებ, აგრეთვე კანონპროექტების ან სხვა წინადადებების საზოგადოებრიობის განსახლველად გამოქვეყნების თაობაზე.

განხილვის მსვლელობაში კანონების პროექტებისა და სხვა საკითხების თაობაზე შემოსულ მოქალაქეების, შრომითი კოლექტივების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების წინადადებებს განიხილავენ და განაზოგადებენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ან მისი პრეზიდიუმის მიერ დადგენილი წესით და მოახსენებენ საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოს სესიაზე საქართველოს სსრ კანონის პროექტის ან სხვა საკითხის განხილვისას.

**მუხლი 21.** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივ კომისიებს თავიანთი გამგებლობის საკითხებზე უფლება აქვს მოუსმინონ საქართ-

ველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის, სახალხო დეპუტატთა რაიონული და საქალაქო (რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქების) საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების წარმომადგენლებს, საქართველოს სსრ სამინისტროების, სახელმწიფო კომიტეტებისა და უწყებების, სხვა რესპუბლიკური და ადგილობრივი სახელმწიფო ორგანოებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელებს, აგრეთვე საქართველოს სსრ ტერიტორიაზე განლაგებული საკავშირო დაქვემდებარების საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელებს.

მუდმივი კომისიის წინადადებით აღნიშნული ორგანოების, საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების წარმომადგენლები და ხელმძღვანელები ვალდებული არიან გამოცხადდნენ კომისიის სხდომაზე და წარადგინონ განმარტებანი კომისიის მიერ განსახილველ საკითხებზე. ამასთან მუდმივი კომისიები დროულად აუწყებენ შესაბამის ორგანოებსა და ორგანიზაციებს, რომ განიხილვენ საკითხებს.

**მუხლი 22.** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივ კომისიებს უფლება აქვთ თავიანთი გამგებლობის საკითხებზე მოსთხოვონ სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანოებსა და ორგანიზაციებს, თანამდებობის პირებს წარუდგინონ მათ დოკუმენტები, წერილობითი დასკვნები, საანგარიშო მონაცემები და სხვა მასალები.

ყველა სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანო, ორგანიზაცია და თანამდებობის პირი ვალდებულია შეასრულოს მუდმივი კომისიების მოთხოვნები, წარუდგინოს მათ საჭირო მასალები და დოკუმენტები.

**მუხლი 23.** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიების რეკომენდაციები ეგზავნებათ შესაბამის ორგანოებს, საწარმოებს, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს და მათ შესახებ ეცნობებათ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს, ხოლო საჭიროების შემთხვევაში — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს, სახალხო დეპუტატთა რაიონული და საქალაქო (რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქების) საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს.

მუდმივი კომისიების რეკომენდაციები აუცილებლად უნდა განიხილონ სახელმწიფო და საზოგადოებრივმა ორგანოებმა, საწარმოებმა, დაწესებულებებმა და ორგანიზაციებმა. განხილვის შედეგების ან მიღებული ზომების შესახებ უნდა ეცნობოს კომისიებს არა უგვიანეს ორი თვის ვადაში ან კომისიების მიერ დადგენილ სხვა ვადაში.

**მუხლი 24.** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივ კომისიებს უფლება აქვთ წინადადებები შეიტანონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში.

მუდმივ კომისიებს უფლება აქვთ შეკითხვის წესით მიმართონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, მინისტრებსა და სხვა იმ ორგანოების ხელმძღ-



ღვანელებს, რომლებსაც ქმნის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო, აგრეთვე საქართველოს სსრ ტერიტორიაზე განლაგებული საკავშირო დაქვემდებარების საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელებს საქართველოს სსრ გამგებლობის საკითხებზე.

**მუხლი 25.** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივ კომისიებს უფლება აქვთ თავიანთ მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად მიიზიდონ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატები, რომლებიც არ შედიან კომისიის შემადგენლობაში, აგრეთვე საქართველოს სსრ სამინისტროების, სახელმწიფო კომიტეტების, უწყებების, სხვა სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და ორგანიზაციების, სამეცნიერო დაწესებულებების წარმომადგენლები; სპეციალისტები და მეცნიერები.

**მუხლი 26.** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიების წევრები მოვალე არიან მონაწილეობა მიიღონ კომისიების საქმიანობაში, ხელი შეუწყონ მათი გადაწყვეტილებების განხორციელებას, შეასრულონ კომისიათა დავალებები.

მუდმივი კომისიის წევრი სარგებლობს გადამწყვეტი ხმის უფლებით ყველა საკითხში, რომლებსაც კომისია იხილავს, მას უფლება აქვს დააყენოს საკითხები მუდმივი კომისიის განსახილველად და მონაწილეობა მიიღოს მათს მომზადებასა და განხილვაში; შეიტანოს წინადადებები სახელმწიფო ორგანოებისა და ორგანიზაციების მუშაობის შემოწმების საჭიროების შესახებ, კომისიის სხდომაზე მათი ანგარიშების ან ინფორმაციების მოსმენის თაობაზე.

მუდმივი კომისიის წევრს, რომლის წინადადებებსაც კომისიამ მხარი არ დაუჭირა, შეუძლია შეიტანოს ისინი წერილობით ან ზეპირად საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოსა ან მის პრეზიდიუმში ამ საკითხის განხილვისას.

მუდმივი კომისიის წევრს უზრუნველყოფილი აქვს პირობები კომისიის მიერ განსახილველი ყველა საკითხის გადაჭრაში აქტიური მონაწილეობის მისაღებად, ეგზავნება ამისათვის საჭირო დოკუმენტები და სხვა მასალები.

**მუხლი 27.** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიების წევრები კომისიის დავალებით და თავისი ინიციატივით ადგილებზე სწავლობენ კომისიის გამგებლობის საკითხებს, განაზოგადებენ სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და ორგანიზაციების, აგრეთვე მოქალაქეთა წინადადებებს, თავიანთ დასკვნებსა და წინადადებებს აუწყებენ კომისიას.

**მუხლი 28.** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიების წევრები კომისიების სხდომების დროს, აგრეთვე კომისიების დავალებათა შესასრულებლად, თავისუფლდებიან საწარმოო ან სამსახურებრივ მოვალეობათა შესრულებისაგან და ენახებათ საშუალო ხელფასი მუდმივ საშუალო ადგილზე.

#### IV. მუდმივი კომისიების მუშაობის წესი

**მუხლი 29.** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიები მუშაობენ მათ სხდომებზე დამტკიცებული გეგმების შესაბამისად.

**მუხლი 30.** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიების სხდომებს იწვევენ საქართველოს მიხედვით და ეს სხდომები შეიძლება გაიმართოს როგორც საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესიების დროს, ისე სესიებს შუა პერიოდში.

**მუხლი 31.** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიების სხდომები უფლებამოსილია, თუ მათ ესწრება კომისიის შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

თუ სხდომაზე ჩამოსვლა არ შეუძლია, კომისიის წევრი ამის შესახებ ატყობინებს მუდმივი კომისიის თავმჯდომარეს.

**მუხლი 32.** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივ კომისიებში ყველა საკითხი წყდება კომისიის წევრთა საერთო შემადგენლობის ხმების უბრალო უმრავლესობით.

რამდენიმე მუდმივი კომისიის ერთობლივი სხდომის ჩატარებისას გადაწყვეტილებებს დებულობენ თითოეული კომისიის წევრთა საერთო შემადგენლობის ხმების უბრალო უმრავლესობით.

**მუხლი 33.** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიის სხდომაში სათათბირო ხმის უფლებით მონაწილეობის მიღება შეუძლიათ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატებს, რომლებიც არ შედიან ამ კომისიის შემადგენლობაში.

**მუხლი 34.** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიების სხდომებზე შეიძლება მოიწვიონ სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანოებისა და ორგანიზაციების, სამეცნიერო დაწესებულებების წარმომადგენლები, სპეციალისტები და მეცნიერები, რომლებიც სხდომებში მონაწილეობენ სათათბირო ხმის უფლებით.

საჭიროების შემთხვევაში მუდმივ კომისიას შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება დახურული სხდომის ჩატარების შესახებ.

**მუხლი 35.** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივ კომისიებს მათ მიერ განსახილველი საკითხების მოსამზადებლად შეუძლიათ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატებისაგან, შესაბამისი სამინისტროების, სახელმწიფო კომიტეტების, უწყებების, სხვა სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანოებისა და ორგანიზაციების, სამეცნიერო დაწესებულებების წარმომადგენლებისაგან, სპეციალისტებისა და მეცნიერებისაგან შექმნან მოსამზადებელი კომისიები და სამუშაო ჯგუფები.

მუდმივ კომისიებს შეუძლიათ შექმნან ერთობლივი მოსამზადებელი კომისიები და სამუშაო ჯგუფები.

**მუხლი 36.** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიის თავმჯდომარე, ხელმძღვანელობს რა მის მუშაობას:

იწვევს კომისიის სხდომებს და ორგანიზაციას უწევს სხდომებისათვის საჭირო მასალების მომზადებას;

დავალებებს აძლევს კომისიის წევრებს, უგზავნის მათ კომისიის საქმიანობასთან დაკავშირებულ მასალებსა და დოკუმენტებს;

გამოიხატეს კომისიის წევრებს მოსამზადებელ კომისიებსა და სამუშაო ჯგუფებში მუშაობისათვის, აგრეთვე კომისიის სხვა დავალებათა შესასრულებლად;

კომისიის სხდომებში მონაწილეობისათვის იწვევს სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანოებისა და ორგანიზაციების წარმომადგენლებს, სპეციალისტებსა და მეცნიერებს;

თავმჯდომარეობს კომისიის სხდომებს;

წარმომადგენლობს კომისიას სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანოებსა და ორგანიზაციებთან ურთიერთობაში;

ორგანიზაციას უწევს მუშაობას კომისიის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად;

ინფორმაციას აწვდის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს კომისიაში განხილული საკითხების, აგრეთვე კომისიის რეკომენდაციათა სარეალიზაციოდ მიღებული ზომების შესახებ;

ინფორმაციას აწვდის კომისიის წევრებს კომისიის გადაწყვეტილებათა შესრულებისა და მის რეკომენდაციათა განხილვის შესახებ.

კომისიების ერთობლივ სხდომებს რიგრიგობით ატარებენ ამ კომისიათა თავმჯდომარეები.

